

დეზინფორმეტი



ანტიდასავლური დეზინფორმაცია
წინასაარჩევნო პერიოდში

სექტემბერი-ოქტომბერი 2020



სარჩევი

შესავალი _____	4
ძირითადი მიგნებები _____	5
NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია _____	10
აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია _____	14
ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია _____	18
დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე _____	23
ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია _____	27
რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა _____	32
ანტიურქული დეზინფორმაცია _____	36
კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია _____	39
ძირითადი აქტორების სტატისტიკა _____	43
ანგარიშში მოხვედრილი წყაროების სტატისტიკა _____	44



ავტორები:

იაკობ ლაჩაშვილი, ნიკა მამულაძე, დავით ნაროუშვილი

რედაქტორები:

პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი

ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.

© საქართველოს რეფორმების ასოციაცია 2020

www.grass.org.ge

www.factcheck.ge

შესავალი

ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა საქართველოში წლებია აქტიურად ვრცელდება. აღნიშნული ანგარიშის მიზანია, გამოიკვლიოს დეზინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებების გზავნილები და მკითხველს გააცნოს მათ დისკურსში არსებული ტენდენციები, როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.


ანგარიში მიმოიხილავს ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გზავნილებს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის პერიოდში. მონიტორინგში მოხვდა 14 ონლაინ მედია, 11 Facebook-გვერდი, 4 ტელევიზია და 3 პოლიტიკური პარტია, რომლებიც შეირჩა “საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ პროექტ „ფაქტ-მეტრის“ ონლაინ, სატელევიზიო და სოციალური მედიის რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში. საერთო ჯამში, დამონიტორინგდა 457 მასალა (სტატია, ვიდეო, ფოტო, Facebook-პოსტი) საიდანაც ანგარიშში მოხვდა 182 მედია პროდუქტი¹. ნაშრომში მიმოიხილულია ის მასალები, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოიკვეთა პრორუსული და ანტიდასავლური მედიის გზავნილები და რომლებიც კამპანიურად ვრცელდებოდა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია რვა ძირითად მიმართულებადაა გადანაწილებული.

სოციალურ ქსელში დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გასაზომად გამოყენებულია Facebook-ის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle.

¹ გამომდინარე იქედან, რომ Facebook-მა 2020 წლის ოქტომბერში წაშალა „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული მთელი რიგი გვერდები, საბოლოოდ, ანგარიშში ასახულია 223 აქტიური ბმული

ძირითადი მიგნებები

დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით



NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- ჩრდილოატლანტიკური კურსი საქართველოს NATO-რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად გადააქცევს
- საქართველო NATO-სთან თანამშრომლობით რუსეთს აღიზიანებს და მისგან საპასუხო ქმედებებს იწვევს
- NATO საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაუბრუნებს
- საქართველოს NATO-ში არ მიიღებენ, რადგან გაწევრიანების შემთხვევაში რუსეთის აგრესიისგან მის დაცვას ვერ შეძლებენ
- საქართველოს მოსახლეობა NATO-ში გაწევრიანებას მხარს არ უჭერს
- საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ არჩეული ჩრდილოატლანტიკური კურსი არასწორი და წამგებიანია
- NATO კრიზისს განიცდის, წევრებს შორის უთანხმოება და NATO-დან აშშ-ის შესაძლო გასვლა მას დაშლის
- სსრკ-ს დაშლის შემდეგ NATO უსარგებლოა და თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებს თავს ვერ ართმევს
- NATO-ს გახლეჩვის ერთ-ერთი მიზეზი თურქეთი იქნება

- NATO შავ ზღვაში პროვოკაციებს აწყობს, თუმცა შავ ზღვაში რუსეთის საზღვაო ძალები NATO-ს პრობლემებს უქმნიან
- NATO-ს საშუალებით საქართველოს უსაფრთხოების გარანტირება ვერ მოხერხდება, ამიტომ სამხედრო მიუმხრობლობასთან ერთად უმჯობესია საქართველო პოლიტიკურად მიემხროს ერთმორწმუნე და ბირთვულ სახელმწიფოს, რუსეთს, რომლისაც დასავლეთსაც ეშინია და მართმადიდებლური ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი „ლიბერალური დასავლეთისთვის“ „ერთადერთი დაუძლეველი ბასტიონია მსოფლიოს გლობალური გარყვნის გზაზე“

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- ქართულ პოლიტიკას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მართავს და „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაც მათი შედეგენილია
- საქართველო ამერიკის კოლონიაა და ელჩი დეგნანი ბიძინა ივანიშვილთან ერთად საქართველოს არაფორმალური მმართველია
- ელჩი დეგნანი უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში და დირექტივებს აძლევს პოლიტიკურ პარტიებს
- აშშ აიძულებს „ქართულ ოცნებას“ ითანამშრომლოს სააკაშვილის „მწამებელ პარტიასთან“
- საქართველომ ამერიკის 30 წლიანი პროტექტორატიდან „გეი პარადების გარდა“ ხელშესახები ვერაფერი მიიღო
- აშშ-ს საქართველოსა და უკრაინაში მარიონეტული ხელისუფლებები ჰყავს, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება
- არავითარი რუსული პროპაგანდა არ არსებობს და ამერიკელები ხელოვნურად გვახვევენ ამ პრობლემას თავს, რათა საქართველოში ლიბერალური ბირთვი მოაძლიერონ
- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტები ამერიკის ინტერესებში შედის, რათა არ დაუშვას საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება
- ამერიკელებმა ჩაშალეს 1997 წლისა და 2004 წლის ქართულ აფხაზური მოლაპარაკებები
- ყარაბაღის ომში სომხური ჯარის სისუსტე მათი ამერიკელი ინსტრუქტორების დამსახურებაა
- ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო 40 მილიონი ამერიკელი აბსოლუტურ სიღატაკეში ცხოვრობს
- აშშ-ში ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები საქართველოსთვის უმნიშვნელოა, მაშინ როდესაც რუსეთიდან მილიარდები შემოდის
- ნოვიჩოკი დასავლეთში (აშშ-ში) შეიქმნა და ნავალნი ამერიკელებმა მოწამლეს, რათა ხელი შეუშალონ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის დასრულებას

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- საქართველო ევროკავშირის კოლონიაა და დასავლეთთან მონურ მდგომარეობაში იმყოფება
- დასავლეთის საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაში ხელს უშლის
- ევროპა საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის შექმნას ცდილობს, რათა უცხოური, კონკრეტულად კი რუსული, ინვესტიციების შემოსვლას ხელი შეუშალოს; საარჩევნო მოდელის ცვლილება (120/30 და 1%-იანი ბარიერი), რომელიც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად ევროპამ სწორად აღნიშნული მიზნის გამო მიგვაღებინა, რადგან კოალიციური მთავრობები არსად ამართლებს

- ევროპამ საქართველოს დაბალი საარჩევნო ბარიერი იმიტომ დააწესებინა, რომ სხვა შემთხვევაში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ლიბერალური პარტიები პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ
- პარლამენტში ქალთა კვოტირებაც ევროპის მიერაა თავს მოხვეული, რასაც შეიძლება ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა კვოტირებაც მოჰყვეს
- ევროკავშირს არ სურს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კვლავ ხელისუფლების სათავეში იხილოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამომრჩეველი მხარს დაუჭერს
- დასავლური ფასეულობების დამკვიდრებით ევროკავშირი საქართველოში მართლმადიდებლობასა და ტრადიციებს ებრძვის
- დასავლური განათლების სისტემა ბავშვებს რყვნის, მათ შორის დასავლეთმა ხელისუფლებას „ლგბტ“ ურთიერთობების სწავლებაც შეიძლება დაამკვიდრებინოს
- ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტს ზღუდავს და ერთიანი სუპერსახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შედეგად საქართველოს პარლამენტი უუფლებოა
- ევროპამ საქართველოს პარლამენტს ბავშვთა უფლებათა კოდექსი მიაღებინა, რაც ოჯახებს ბავშვებს ისე ართმევს, რომ სასამართლოში ინტერესების დაცვის პრაქტიკულ შესაძლებლობას არ აძლევს და, შესაბამისად, აღნიშნული კანონი ფაშიზმის გამოვლინებაა
- დეზინფორმაციის პრობლემა სიტყვის თავისუფლების დამკვიდრებით დასავლეთმა შექმნა და თავად დასავლეთი აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციას
- ევროპაში „საბაზრო ისლამს“ ამკვიდრებენ
- ევროკავშირში მიგრანტები მძაფრ კრიმინალურ სიტუაციას ქმნიან და ასევე ევროპის ფასეულობებისა და კულტურისათვის საფრთხეს წარმოადგენენ
- აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის იდეოლოგიური განხეთქილებაა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის აღნიშნული დაპირისპირების გამოყენება და ევროკავშირისთვის ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ჩამოცილება დიდი გამარჯვება იქნება
- ევროკავშირი დანგრევის პირასაა - ევროპაში შეიძლება საზღვრების ცვლილების პროცესი დაიწყოს და ასევე პოლონეთის ირგვლივ და აშშ-ის პროტექტორატით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ანტიდასავლური ქვეყნების გაერთიანება შეიქმნას

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე

- პუტინმა შეაჩერა კანონიერი ხელისუფლების დამხობისკენ მიმართული დასავლეთის „ბოროტი“ გეგმა ბელარუსში
- დასავლეთი თავისი მარიონეტების გამოყენებით უხეშად ერევა ბელარუსის შიდა საქმეებში
- ბელარუსი არის ტრადიციული ღირებულებების დამცველი, რომელსაც დასავლელი ლიბერალები ებრძვიან
- საქართველომ ღია მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტში
- საქართველო არ ატარებს ჰუმანიტარულ ტვირთებს სომხეთის მიმართულებით მაშინ, როდესაც მის ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადაადგილდება აზერბაიჯანისკენ მიმავალი თურქული სამხედრო შეიარაღება

- სოროსი და მასთან დაკავშირებული ჯგუფები კოორდინირებულად ებრძვიან ტრადიციულ ღირებულებებს მსოფლიოს ირგვლივ
- დასავლეთში შექმნილია სპეციალური ცენტრები, სადაც ამზადებენ აქტივისტებს სხვადასხვა ქვეყნებში რევოლუციების მოსაწყობად
- გაეროს აქვს ახალი გეგმა, რომელიც მიზნად მსოფლიო მთავრობისა და არმიის შექმნას ისახავს, ასევე კერძო საკუთრებისა და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმებას
- დასავლეთ ევროპამ უარი თქვა ქრისტიანობაზე და ლგბტ-ს დიქტატის ქვეშ მოექცა
- ინგლისის ეკლესია მალავს მის წიაღში არსებულ მასობრივ პედოფილიას და ხელს აფარებს დამნაშავეებს

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

- „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ დავით გარეჯი აზერბაიჯანს მიჰყიდა, რაშიც მონაწილეობა მიხეილ სააკაშვილმა, თემურ ალასანიამ, გრიგოლ ვაშაძემ და გიგა ბოკერიამ მიიღეს
- ნატალია ილიჩოვამ და ივერი მელაშვილმა ქვეყნის ღალატის სანაცვლოდ „სოკარისგან“ ფული აიღეს
- „დოსიეს“ ანგარიშები „პატრიოტთა ალიანსის“ საწინააღმდეგო ცილისწამებაა
- არანაირი რუსული პროპაგანდა საქართველოში არ არსებობს
- ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალის დაყაჩაღება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო
- არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხებისა და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლა, აფხაზეთის და ოსეთის სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს
- ჯორჯ სოროსი ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად ოპოზიციურ პარტიებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბიუჯეტის გავლით აფინანსებს
- თუ ოპოზიცია არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ისინი რევოლუციის მოწყობას გეგმავენ
- სოციალურ ქსელში ლიბერალური ცენზურაა დაწესებული და განსხვავებული აზრი იდევენება

რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

- რუსეთთან ურთიერთობების არევაში დანაშაულის დაახლოებით 70% ჩვენი წილია
- საქართველოს ტერიტორიები ზვიად გამსახურდიამ და ქართულმა ნაციონალიზმმა დააკარგინა
- რუსეთში ჯანსაღ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობის მზადყოფნა არსებობს
- ოპოზიციის პროვოკაცია გავრილოვის ღამეს არა ანტირუსული [ანტისაოკუპაციო], არამედ ანტიქართულია
- რუსეთთან ფართომასშტაბიანი ასიმეტრიული მოლაპარაკებები უნდა დავიწყოთ
- საქართველომ სამხედრო მიუმხრობლობა ან ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის შემდგომი განვითარება არა ნეიტრალიტეტის გამოცხადების, არამედ მხოლოდ რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული კავშირის შექმნის შემთხვევაშია შესაძლებელი
- საქართველო რამდენიმე ქვეყნის მიერაა ოკუპირებული

- საქართველო რუსეთზე დამოკიდებული და მოსკოვს შეუძლია ქართველებს შიმშილობა დააწყებინოს
- საქართველოს არჩევანის გაკეთება „ლიბერალსტ, უღმერთო“ დასავლეთსა და „ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ“ რუსეთს შორის უწევს
- რუსეთი აიძულებს, ხელი მოაწერა საქართველოს დაშლის აქტისთვის
- რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, 200 წლის განმავლობაში, ქართველი პირველობას არავის უთმობდა
- „ავადსახსენებელი კომუნიზმის“ დროს ხალხი მატერიალურად უკეთ ცხოვრობდა
- სტალინი დიდი მხედართმთავარი და მორალური ფასეულობების ერთგული ადამიანი იყო

ანტიურქული პროპაგანდა

- თურქეთს საქართველოს 33% ოკუპირებული აქვს
- თურქეთი ღიად აცხადებს პრეტენზიას აჭარაზე, გურიაზე და სამცხე-ჯავახეთზე
- „დაიცავი შენი წილი საქართველო... და არ დაუთმო აჭარა თურქეთს!“
- თურქეთი ყარსის ხელშეკრულებით აჭარას წაგვართმევს
- ხელისუფლებამ აჭარა თურქეთს მიჰყიდა
- მიმდინარეობს აჭარის „თურქიზაცია“ და „ისლამიზაცია“
- თურქეთი საქართველოს მტერია
- თურქეთი სამცხე-ჯავახეთში 100 ათასი თურქი მესხის ჩასახლებას აპირებს, რაც თურქეთის ნეო-ოსმანიზმის და პანთურქიზმის პოლიტიკის ნაწილია და ამ ნაბიჯით თურქეთი სამცხე-ჯავახეთის იდეურ და მატერიალურ ოკუპაციას მოახდენს
- სამხრეთ კავკასიას თურქეთისგან მხოლოდ რუსეთი დაიცავს
- თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკისგან საქართველოს ევროკავშირი და NATO ვერ დაიცავენ
- „რუსეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კავკასიის მართვის უნარი არ შესწევს და კვლავ დაუთმო ის თურქეთს“, რის შედეგადაც, საქართველოს „ომი, ხოცვა, შიმშილი, ინტერვენცია და სრული ოკუპაცია“ ელის

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

- კორონავირუსი სეზონური გრიპის მსგავსი არასახიფათო ვირუსია
- კორონავირუსის ლეტალობა იგივე ან ნაკლებია რაც სეზონურ გრიპს აქვს
- ექსპერიმენტული ვაქცინების ტესტირება საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებში იგეგმება
- დასავლეთში ვაქცინებს სათანადო ტესტირებისა და კლინიკური ცდების გარეშე ამტკიცებენ და შემდეგ მის გამოცდას მესამე სამყაროს ქვეყნებზე გეგმავენ
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) საცდელი ვაქცინების ტესტირებას გეგმავს საქართველოში
- ამერიკაში ვაქცინების ტესტირება პირდაპირ ადამიანებზე ხდება, ცხოველებზე ტესტირების გარეშე
- ვაქცინებით ადამიანების გენეტიკის შეცვლას აპირებენ
- ბილ გეითის გენური ინჟინერიით შექმნილი ვაქცინით კაცობრიობის მოსპობას აპირებს
- რუსულ ვაქცინას “სპუტნიკ V“-ს მსურველთა გრძელი რიგი უდგას ამერიკის და ევროკავშირის ქვეყნების ჩათვლით

- რუსული ვაქცინის ეფექტიანობა 100%-ია და მას არავითარი გვერდითი მოვლენები არ გააჩნია
- PCR ტესტებით ადამიანების გენეტიკურ მასალას აგროვებენ, რომელზეც შემდეგ ცდებს ატარებენ
- კორონავირუსის ვაქცინებით ადამიანების დაჩიპვას გეგმავენ ელონ მასკის მიერ შექმნილი მიკროჩიპებით
- კორონავირუსით დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვები ხელოვნურად იბერება
- იტალიაში გარდაცვლილ მოხუცთა დიდი ნაწილი სპეციალური ინექციით დააძინეს, რათა საპენსიო და ჯანდაცვის ხარჯები დაეზოგათ
- თერმოსკრინინგი იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და პირბადეების ტარებაც სახიფათოა ჯანმრთელობისთვის
- ქოქოსის ზეთი, წყალში გახსნილი პერეკისი და ცხელი ორთქლის ინჰალაცია კურნავს კორონას

NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც NATO-ს საწინააღმდეგო პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ: საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“, „პატრიოტი TV“, „ნიუსფრონტი“, „საქართველო და მსოფლიო“, Facebook-გვერდი „სტალინი“, Facebook-გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, „თვალსაზრისი“.

კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საერთაშორისო მასშტაბით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) გაფართოების შეჩერება და მისი ერთიანობის შესუსტებაა. ხოლო საქართველოს შემთხვევაში პრორუსული პროპაგანდის ამოცანებს საქართველოს მოსახლეობის NATO-სადმი და საქართველოს NATO-ში ინტეგრაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა.

საქართველოს სამხედრო პოლიგონად გადაქცევის მცდელობის შესახებ **წერდა** პრორუსული გამოცემა „პატრიოტი TV“, რომლის მიხედვითაც, მოცემული მიზნის მისაღწევად საქართველოში NATO-ს ეგიდით სამხედრო წვრთნებს ატარებენ. დეზინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულს ერთი მიზანი აქვს - „ცეცხლითა და მახვილით, კონფლიქტებისა და ომების ორგანიზებით, საზოგადოების დეგრადაციითა და რწმენის შერყევით, ცდილობენ დაიმორჩილონ ქართველი ერი და საქართველო“.

კრემლისტური მედიის, „ნიუსფრონტის“ **მიხედვით**, მეოცე საუკუნის ბოლოდან შევარდნაძის მიერ არჩეული NATO-ში საქართველოს ინტეგრაციის კურსი არასწორი იყო. გამოცემას მაგალითად მოჰყავს 2000 წელს რუსეთის გასაღიზიანებლად ჩეხეთისგან (NATO-სგან) უზარისხო ტანკების შესყიდვა, რითიც საქართველომ იზარალა. „ნიუსფრონტის“ თანახმად, შევარდნაძეს სჯეროდა, რომ 2005 წელს საქართველო NATO-ს კარზე დააკაკუნებდა, თუმცა ეს იმედები ფუჭი იყო. 2005 წელს

NATO საქართველოს
დაკარგული ტერიტორიების
დაბრუნებაში არ და ვერ
დაეხმარება

ჯორჯ ბუშის მიერ „დემოკრატიის შუქურის“ წოდებით დაიმედებულმა სააკაშვილმა რუსეთს „ომობანას თამაში“ დაუწყო, იმის მიუხედავად რომ NATO-ს კარები კვლავ არ ჩანდა.

„საქართველო და მსოფლიო“ **ცდილობდა** მკითხველი დაერწმუნებინა, რომ „ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ამჟამად ყველაზე სერიოზულ კრიზისს განიცდის, რაც კი ოდესმე ჰქონია შექმნიდან დღემდე“, რადგან „ალიანსმა, ფაქტობრივად, დაკარგა თავისი არსებობის მიზნები, რომლებშიც დეკლარირებული იყო აშშ-ის გარშემო გაერთიანებული ქვეყნების დაპირისპირება საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებთან“. შედეგად, ალიანსის წევრთა ნაწილმა თავდაცვის ხარჯები შეამცირა, რამაც NATO-ს შიგნით უთანხმოება და კონფლიქტები წარმოშვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპისადმი ყველაზე კრიტიკული კი აშშ არის. პრორუსული გამოცემა ასევე ცდილობდა NATO-ში არსებული უთანხმოების იმგვარად წარმოჩენას, თითქოს აღნიშნული ალიანსის დაშლას გამოიწვევს. ამის მაგალითად, მათ შორის აშშ-სა და ევროპას შორის სხვადასხვა საკითხზე (თავდაცვის ხარჯები, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობა) დაპირისპირება მოჰყავდა. აქედან გამომდინარე, „საქართველო და მსოფლიო“ აცხადებდა, რომ „ვითარების ბოლომდე დამაბვის შემდეგ“ აშშ NATO-ს დატოვების შესახებ განაცხადებს, ხოლო „NATO-დან აშშ-ის გასვლა ომის დაწყების მომასწავებელია“, რაშიც აშშ ევროპას არა სამხედრო, არამედ მხოლოდ ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს.

ალიანსი სერიოზულ კრიზისშია, მან დაკარგა არსებობის მიზნები და მალე დაიშლება

„საქართველო და მსოფლიო“ **წერდა**, რომ „NATO-ს ხანგრძლივი ეროზიის პროცესი დაწყებულია, რადგან მუდმივი ალიანსი არ არსებობს“. ალიანსის გახლეჩვის კიდევ ერთ მიზეზად კი თურქეთსა და დასავლეთს შორის „გადაუწყვეტელი“ კონფლიქტი დაასახელა. გამოცემის მიხედვით, NATO-ში თურქეთი „პოტენციურ მოლაპატედ და კოლაბორაციონისტად“ მიაჩნიათ, რომელსაც საფრთხის შემთხვევაში ღალატი შეუძლია. მაგალითად, აშშ-ში ფიქრობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში თურქეთი რუსეთს ომს არ გამოუცხადებს და არც ბალტიისპირეთში დაეხმარება NATO-ს, რის გამოც „NATO-ს ზურგი სამხრეთში მოშიშვლებულია“. „საქართველო და მსოფლიო“ NATO-სა და თურქეთის დაპირისპირების მიზეზებსაც ასახლებდა, მაგალითად:

- ერდოღანი „NATO-ელ მოკავშირეებს და ევროკავშირელ პარტნიორებს ომით ემუქრება“;
- „აშშ-ის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თანამშრომლობს ისრაელის მტერ “ჰამასთან“;
- არღვევს გაეროს მიერ დაწესებულ ემბარგოს იარაღის მიწოდებაზე და უპირისპირდება საფრანგეთისა და საბერძნეთის ფლოტებს;
- აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის ინტერესების საზარალოდ ხელს უწყობს ომის ხანძრის გაღვივებას ლიბიაში“.

შედეგად კი აშშ-ს აიძულებს აქტიურად ჩაერიოს, რათა ხმელთაშუა ზღვაში კონფლიქტი აირიდოს. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე შეეხო NATO-ს ისტორიას და გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში დოლარით ანგარიშსწორებაზე უარის თქმის გამო აშშ და მისი „სატელიტები“ ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების სასტიკად გაუსწორდნენ.

შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხში NATO-ს ჩართულობის შესახებ ანტიდასავლური აქტორები [აღნიშნავენ](#), რომ „ალიანსი აგრძელებს პროვოკაციებს შავ ზღვაში, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას“, ამიტომ ალიანსის არაწევრმა შავი ზღვის სახელმწიფოებმა შავი ზღვიდან NATO-ს საზღვაო ფლოტის გაყვანა უნდა [მოითხოვონ](#), რადგან „ის ღიად ცდილობს მოსკოვის პროვოცირებას და საზღვაო ბრძოლებში ჩაბმას“. რაც შეეხება შავ ზღვაში NATO-სა და რუსეთის დაპირისპირებას, ისინი წერდნენ, რომ შავ ზღვაში NATO-ს სამხედრო წვრთნებისას, 23 სექტემბერს, თავდაპირველად „რუსეთის სისუსტის აღმოჩენის მიზნით“ „ამერიკული მედია იტყობინებოდა რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავებისა და გემების აქტიური პატრულირების შესახებ“. თუმცა შემდგომ NATO-ს წევრი ქვეყნების სამი სამხედრო ხომალდის შავ ზღვაში რუსეთის საზღვრებთან ახლოს გამოჩენამ NATO-ს დიდი პრობლემა შეუქმნა, რადგან „რუსეთის საზღვაო ძალებმა NATO-ს გემების ბლოკირება მაშინ მოახდინეს, როდესაც ისინი რუსეთის საზღვრებთან მიახლოვებას აპირებდნენ“.

NATO-ს დისკრედიტაციის მიზნით, პრორუსული წყაროები სოციალურ ქსელში ავრცელებდნენ [ინფორმაციას](#) ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბთა რესპუბლიკაში განთავსებულ NATO-ს საწინააღმდეგო ბანერებზე. მათზე განთავსებული იყო მანიპულაციური და პროპაგანდისტული წარწერები: „NATO-ს თვითმფრინავებმა იტალიიდან კორონავირუსის დამდგენი ნახევარი მილიონი ტესტი გაიტანეს“, „არა NATO-ში“. როგორც პრორუსული წყაროები აღნიშნავენ, ბილბორდების მიზანი იყო, მოეწოდებინა მოსახლეობისთვის, რომ „არანაირი პირობებით არ დაუშვან ბოსნია-ჰერცეგოვინის დაახლოება და ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან“, რადგან სამოქალაქო ომის პერიოდში (1992-1995წწ.) NATO სერბთა რესპუბლიკას ბომბავდა. ამიტომ „ბოსნიელმა სერბებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ, თუ ბოსნია-ჰერცეგოვინის ხელისუფლება სერბი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედებს, რესპუბლიკა რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს ამ სახელმწიფოს დატოვების შესახებ“.

NATO-ს საშუალებით საქართველოს უსაფრთხოების გარანტირების ვერსიის კრიტიკის შემდეგ, „საქართველო და მსოფლიო“ ალტერნატიული გამოსავლის სახით სამხედრო მიუმხრობლობის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ პრორუსულ ნარატივს განავრცობდა და სვამდა [კითხვას](#) - „სამხედრო მიუმხრობლობასთან ერთად პოლიტიკური მიმხრობის დრო ხომ არ დადგა საქართველოში?“ პოლიტიკურ მიმხრობაში საქართველოს რუსეთისადმი მიმხრობა იგულისხმება, რაც შემდეგი არგუმენტებითაა „გამყარებული“:

- 1) რუსეთი ბირთვული ზესახელმწიფოა, რომლისაც დასავლეთსაც ეშინია და მასთან ქართველი პოლიტიკოსები ულტიმატუმის ენით არ უნდა ლაპარაკობდნენ, არამედ - პირიქით. რუსეთის სიძლიერეზე, NATO-ს სისუსტესა და რუსეთისადმი შიშზე მითითება პრორუსული პროპაგანდის ნარატივებში „დეზინფორმეტრის“ წინა ანგარიშებშიც ფიქსირდებოდა.
- 2) რუსეთი ერთმორწმუნე სახელმწიფოა, რომელიც მართმადიდებლური ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი „ლიბერალური დასავლეთისთვის“ „ერთადერთი დაუძლეველი ბასტიონია მსოფლიოს გლობალური გარყვნის გზაზე“. აღსანიშნავია, რომ მიუმხრობლობის პოლიტიკას საქართველოში პრორუსული პარტიები აქტიურად ადვოკატირებენ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები NATO-ს საწინააღმდეგო მესიჯებით გამოირჩეოდნენ. პრორუსული პარტია „**პატრიოტთა ალიანსი**“ მოსახლეობას **სამხედრო ნეიტრალიტეტს ჰპირდებოდა** და **აცხადებდა**, რომ საქართველო NATO-ში შესვლას დიდი ხნის განმავლობაში წარუმატებლად ცდილობს და ამიტომ ეს კურსი უნდა მიატოვოს.

კიდევ ერთი პარტიის - „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“, რომლის ლიდერიც ნინო ბურჯანაძეა, **მიხედვით NATO-ში გაწევრიანებაზე საუბარი არარეალისტურია** და „ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პოლიტიკას არ გაატარებს**“, რადგან საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნის პირობებში NATO-ში გაწევრიანება დიდი საფრთხის მატარებელია და ასევე ტერიტორიული პრობლემის მოგვარებს ხელს შეუშლის, ხოლო უბლოკო სტატუსი კი, პირიქით, აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად მოლაპარაკებებში დადებითი ფაქტორი იქნება.

მსგავს კონტექსტში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“ და მისი ლიდერი, ლევან ჩაჩუა, **ამტკიცებდა**, რომ საქართველო NATO-ს კარს „მათხოვარივით“ უკაკუნებს, მაგრამ რეალურად NATO-ზე საუბარიც ზედმეტია, რადგან დასავლეთს საქართველო არც 1921 წელს და არც 2008 წელს არ დაუცავს და არც მომავალში დაიცავს. მეტიც, მათ ჯერ უკრაინა დალუპეს და ახლა საქართველოს ღუპავენ. „ქართული იდეის“ ლიდერის თქმით, NATO-საც არ სურს, რომ საქართველო წევრად მიიღოს და სანაცვლოდ მხოლოდ „MAP-ზე უკეთეს“ პირდებიან. ამასთან, მისი თქმით, NATO საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაუბრუნებს, რასაც უკრაინის მაგალითი და თავად NATO-ს შიგნით არსებული ტერიტორიული პრობლემები (კვიპროსი) აჩვენებს. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებშიც გვხვდებოდა დეზინფორმაცია, რომ NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაკარგავდა, თუმცა კვიპროსის² მაგალითის გამოყენება 2020 წლის მონიტორინგში პირველი შემთხვევა იყო.

ჩაჩუას მტკიცებით, NATO-ში პირდაპირ აცხადებენ, რომ რუსული ფაქტორის გამო დაკარგული ტერიტორიებით საქართველოს არ მიიღებენ, რადგან მიღების შემთხვევაში რუსეთისგან წამოსული აგრესიისგან დაცვას ვერ შეძლებენ. მისი აზრით, მოსახლეობას NATO-ში შესვლის პერსპექტივით ატყუებენ და NATO-ს იმედი ხალხს აღარ აქვს. ხოლო 2008 წლის „რეფერენდუმი“ (პლემბისციტი) NATO-სთან

2008 წლის რეფერენდუმი
(პლემბისციტი) NATO-ში
შესვლის შესახებ
გაყალბებული იყო

დაკავშირებით გაყალბებული იყო და დღეს რომ რეფერენდუმი ჩატარდეს ქართველების უმრავლესობა უარს იტყვის ბლოკში გაწევრიანებაზე, თუმცა თავად ბლოკიც არ გვიღებს. პარლამენტში შესვლის შემთხვევაში ლევან ჩაჩუა მოსახლეობას დაპირდა, რომ **რეფერენდუმის საკითხს დააყენებდა საქართველოს NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით**, რათა აღნიშნული თემა დამთავრებულიყო. წინასაარჩევნოდ NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვის დაპირება ანტიდასავლური ჯგუფების მიერ სიახლეს წარმოადგენს.

² ავტორების შენიშვნა: კვიპროსი NATO-ს წევრი ქვეყანა არ არის.

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთ ძირითადი სამიზნე ისევე ამერიკის შეერთებული შტატები იყო. აშშ-ის და მისი საერთაშორისო ინსტიტუტების თუ სხვადასხვა დახმარების პროგრამების დისკრედიტაცია საქართველოში არსებული ანტიდასავლური და პრორუსული ჯგუფების დღის წესრიგში მუდამ პრიორიტეტულ ადგილს იკავებს. ანტიამერიკული განწყობებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, ასევე აქტიურობდნენ Facebook გვერდები „სტალინი“, „კარდჰუ“, „პოლიტიკანო“ და ონლაინ გამოცემები „საქინფორმი“, „ნიუსფრონტი“, „თვალსაზრისი“ და „isari.ge“.

„საქართველოს და მსოფლიოს“ მიხედვით საქართველოში ყველაფერს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მართავს და თავად „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაც კი მათი შედეგნილია. მარტვილი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-აბაშის ოლქში “პატრიოტთა ალიანსის” მაჟორიტარობის კანდიდატის, ვიქტორ ცაავას „საქართველოსა და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ვკითხულობთ, რომ საქართველო ევროპის და ამერიკის კოლონია და „ორი ბატონის მონაა“.

წინა თვეების მსგავსად, კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა აშშ-ის საელჩოს და ელჩის დისკრედიტაციის კამპანია ანტიდასავლურად განწყობილი აქტორებისა და გამოცემების მხრიდან. „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული გვერდები სისტემატურად ესხმოდნენ თავს საელჩოს. „ალტ-კლუბის“ მიხედვით, აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დღის წესრიგს უდგენს და სწორედ მან „უბრძანა“ მათ წინასაარჩევნო „ქვევის

საქართველო ამერიკის
კოლონიაა და ქართულ
პოლიტიკას აშშ-ის
სახელმწიფო დეპარტამენტი
მართავს

კოდექსზე“ ხელმოწერა. „ალტ-კლუბმა“ ასევე გამოაქვეყნა იუმორისტული მიმი, სადაც აშშ-ს ელჩს საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაში ადანაშაულებს. Facebook გვერდმა „სტალინმა“ კი ელჩი დეგნანი ბიძინა ივანიშვილთან ერთად საქართველოს არაფორმალურ მმართველად მოიხსენია. „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორის არნო ხიდირბეგიშვილის მიხედვით კი, აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით განხორციელებული პროექტები საქართველოში, რომლებიც მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად, სინამდვილეში საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენს. „საქინფორმი“ ასევე ამტკიცებდა, რომ ელჩი დეგნანი მუდმივად ინსტრუქციებს აძლევს ხელისუფლებას, ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოებას.

კიდევ ერთი ნარატივს, რომ საქართველოს აშშ მართავს და ჩვენი ხელისუფლებები კოლონიალური მორჩილების მდგომარეობაში იმყოფებიან, სექტემბერ-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდში, ტრადიციულ პასაჟებთან ერთად, წინასაარჩევნო კონტექსტი დაემატა. „საქართველო და მსოფლიო“, მომავალი საპარლამენტო არჩევნების შეფასებისას, გამოთქვამდა „შეშფოთებას“, რომ „ამ კრიტიკულ ჟამს საქართველოს მართავენ ლიბერალი სოროსისტი ქოც-ნაცები, რომლებიც იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად და უსიტყვოდ შეასრულებს აშშ-ის ბრძანებებს“. „თვალსაზრისი“, ასევე აშშ-ის მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში ქართულ პოლიტიკაზე ზეწოლაზე აპელირებდა, რისი შედეგიც „ქართული ოცნებისა“ და სააკაშვილის „მწამებელი“ ხელისუფლების

თანამშრომლობა იყო „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ და იმუქრებოდა, რომ თუ არ შეწყდებოდა მსგავსი ზეწოლა, ქართველი ხალხი წარსულ ჩააბარებდა დასავლეთს. „ნიუსფრონტი“ ერთ-ერთი Facebook მომხმარებლის პოსტი გამოაქვეყნა [სტატია](#), სადაც მცდელობა იყო, რომ რუსეთის „პოზიციიდან“ შეფასებულიყო საქართველოს მდგომარეობა. ქვეყნისა რომელმაც „თავზე დაისვა“ ამერიკა და 30 წელია მისი პროტექტორატის ქვეშაა, თუმცა ვერაფერს ხელშესახებს აქედან ვერ იღებს გარდა გვი პარადების ჩატარებისა. „ნიუსფრონტი“ ასევე [ამტკიცებდა](#), რომ აშშ-ის საქართველოსა და უკრაინაში საკუთარი მარიონეტული ხელისუფლებები ჰყავს, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვის და განცხადებების გაკეთების უფლება კი. გამოცემის მტკიცებით, აშშ იყენებს ამ მთავრობებს მანამ, სანამ სჭირდება, შემდეგ კი მათ „სანაგვეზე მოისვრის“. გამოცემა „ისარის“ [მიხედვით](#), კი საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკის უღელი დაადგა ქართველ ხალხს და არავის უკითხავს, გვინდა თუ არა ბრიუსელიდან და ამერიკიდან განხორციელებული დიქტატით ცხოვრება. იმავე სტატიაში, ამერიკა მსოფლიოში ყველაზე აგრესიულ ტერორისტულ ქვეყნადაა მოხსენიებული.

კიდევ ერთი, მუდმივად განმეორებადი, დეზინფორმაციული ნარატივის მიხედვით, აშშ-ის ინტერესებშია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტის არსებობა, რათა საქართველომ და რუსეთმა ვერ შეძლონ ნორმალური ურთიერთობების აღდგენა. „საქართველო და მსოფლიოს“ [მტკიცებით](#) „საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტა რუსეთის ინტერესებზე მეტად (გაცილებით მეტად) აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის ინტერესებში შედის“. იმავე სტატიაში, „ტვ ობიექტივის“ წამყვანი, ვალერი კვარაცხელია ავითარებს მოსაზრებას, რომ აშშ-ისთვის ხელსაყრელია საქართველოს ამჟამინდელი 'სტატუსკვო' და ის ხელს უშლის საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის წარმოებას, რაც ტერიტორიული პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა, შესაბამისად, აშშ (და არა რუსეთი) უშლის ხელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ვალერი კვარაცხელია ამტკიცებდა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ შამილ ბასაევს და მის დაჯგუფებას და მათივე სცენარით ჩაერთვნენ ისინი საქართველოს წინააღმდეგ ომში, რადგან აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხება სწორედ ამერიკელების ინტერესებში შედიოდა.

აშშ ხელს უშლის აფხაზეთის და ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას, რათა არ დაუშვას საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება

მსგავს ნარატივს [ავრცელებდა](#) „ე. პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“, რომლის დამფუძნებელიც მედვედევის ბრძანებულებით შექმნილი გორჩაკოვის ფონდია, დირექტორი, დიმიტრი ლორთქიფანიძეც, რომელმაც ამერიკული მხარე დაადანაშაულა 1997 წლის ქართულ-აფხაზური დიალოგის ჩაშლაში, რომელიც მაშინდელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის გეგმით მიმდინარეობდა. ლორთქიფანიძემ ასევე ამერიკელები დაადანაშაულა 2004 წლის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების (სერგეი შამბას ვიზიტი თბილისში) ჩაშლაშიც. ქართულ-აფხაზური დიალოგის ამერიკელების მიერ ჩაშლის შესახებ ყალბ ინფორმაციებს ანტიდასავლური გამოცემები და აქტორები წინა საანგარიშო პერიოდებშიც

ავრცელებდნენ. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიმიტრი ლორთქიფანიძე დიდუბე-ჩუღურეთის ოლქში მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს.

„საქართველო და მსოფლიომ“ ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანული არმიის უპირატესობა სომხეთის არმიასთან მიმართებით, სომხეთში „მოღვაწე“ ამერიკელ ინსტრუქტორებს [დააბრალა](#). „ისეთი რა ასწავლეს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა, გენერლებმა და სხვა მეთაურებმა, რომლებიც სომხეთის არმიას წვრთნიან და ხელმძღვანელობენ, რომ ძალა გამოაცალეს?“.

ვალერი კვარაცხელია, „ტვ ობიექტივის“ „ოქროს კვების“ მე-20 [გამოცემაში](#) აცხადებდა, რომ ამერიკულმა დემოკრატიამ შედეგად სიღარიბე და უცოდინრობა გამოიღო. მისი მტკიცებით, აშშ-ის მოსახლეობის 43% წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო ყოველი მე-8 ამერიკელი ანუ დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი, აბსოლუტურ სიღატაკეში ცხოვრობს. Facebook გვერდი „პოლიტიკანო“ კი [ამტკიცებდა](#), რომ ამერიკაში დიდი დეპრესიის დროს მიზანმიმართულად ანადგურებდნენ საკვებ პროდუქტებს, რათა მოსახლეობა შიმშილით დაეხოცათ.

„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა ამერიკიდან შემოსული დახმარებებისა და ეკონომიკური შემოსავლის [დაკნინებას](#), რუსული ფინანსების სასარგებლოდ. გამოცემის მტკიცებით, აშშ-დან ექსპორტის გზით მიღებული შემოსავალი 40 მილიონს ვერ სცდება, მაშინ როდესაც რუსეთიდან მილიარდები შემოდის. სტატიაში ასევე მანიპულაციურად იყო მოწოდებული სავაჭრო ბრუნვის მონაცემები და ამერიკასთან უარყოფით სავაჭრო საღიბოზე იყო ყურადღება გამახვილებული, როგორც განსაკუთრებით უარყოფით მოვლენაზე, მაშინ როდესაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორთან, მათ შორის რუსეთთან.

Facebook-გვერდმა „სტალინმა“ გამოაქვეყნა [პოსტი](#), რომლის მიხედვითაც, ამერიკა იბრძვის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესაჩერებლად რათა შეინარჩუნოს ევროპაზე გავლენა და სწორედ ამ სცენარის ნაწილია ნავალნის და ბელარუსის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. „თვალსაზრისი“, ასევე [ავრცელებდა](#) კრემლის მიერ შეთხზულ იმ მოსაზრებას, თითქოს ნერვული აგენტი „ნოვიჩოკი“, დასავლეთის და კერძოდ, აშშ-ის მიერ შექმნილი ბიოლოგიური იარაღია და შესაბამისად, ამით ნავალნის მოწამვლის ფაქტზე ირიბად ისრების გადამისამართებას ცდილობდა. „თვალსაზრისი“ უფრო შორსაც წავიდა და შემდგომ დღეებში გამოქვეყნებულ [სტატიაში](#), უკვე პირდაპირ აშშ-ს ადანაშაულებდა ნავალნის მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოცემის რედაქტორის ირაკლი ჯანყარაშვილის აზრით, ამერიკელებმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესაჩერებლად გააკეთეს. „საქართველო და მსოფლიომ“ ნავალნი ამერიკული სპეცსამსახურების აგენტად და მათი ინტერესების მსახურად [შერაცხა](#). „საქართველო და მსოფლიო“ ასევე [ამტკიცებდა](#), რომ ტრამპის ადმინისტრაცია ცდილობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გამოიყენოს გერმანიის და საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა ხელი შეუშალოს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის დასრულებას. გაზეთის თანახმად, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მხარდაჭერით აშშ ცდილობს ევროკავშირში განხეთქილების შეტანას და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცალკე გამოყოფას, რაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იქნება.

Facebook-გვერდმა „პოლიტიკანომ“ გამოაქვეყნა რუკა, რომელზეც თითქოსდა ასახულია აშშ-ის მეთაურობით, კაპიტალისტური დასავლეთის მიერ მსოფლიოს ირგვლივ განადგურებული მილიონობით მემარცხენე.



„საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით კი „ფორმალურად დემოკრატიული სახელმწიფო აშშ ეწევა ექსპანსიურ პოლიტიკას, აჩაღებს ომებს და აწყობს ფერად რევოლუციებს“. იგივე გამოცემა ამტკიცებდა, რომ აშშ ძველი მეთოდებით აგრძელებს მათთვის არასასურველი ხელისუფლებების დამხობას მსოფლიოში, ყირგიზეთის შემდეგ ჯერი მოლდოვაზე და შემდეგ საქართველოზე მიდგება, გაზეთის თანახმად.

საანგარიშო პერიოდში, „საქართველო და მსოფლიო“ აშშ-ს და დასავლეთს ადანაშაულებდა დეზინფორმაციის ფენომენის განვითარებასა და გავრცელებაში. გამოცემის მტკიცებით, სწორედ დემოკრატიზაცია და სიტყვის თავისუფლება გახდა დეზინფორმაციების გავრცელების საფუძველი, რასაც აქტიურად იყენებდა დასავლეთი მისი ექსპანსიონისტური და მილიტარისტული პოლიტიკების გასამართლებლად საკუთარი მოსახლეობის თვალში.

რუსული პროპაგანდა არ არსებობს და ამერიკელები ხელოვნურად გვახვევენ ამ პრობლემას თავს, რათა საქართველოში ლიბერალური ბირთვი მოაძლიერონ

„საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ [ინტერვიუში](#), დიმიტრი ლორთქიფანიძე ამტკიცებდა, რომ საქართველოში არანაირი რუსული პროპაგანდა არ არსებობს და რომ ამერიკელები ყალბი დღის წესრიგის შექმნით საქართველოში ლიბერალური ბირთვის გაძლიერებას ცდილობენ, რაც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მათ დიდ სტრატეგიაში თავსდება.

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

ევროკავშირთან და ზოგადად დასავლეთთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელება კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან მოსახლეობაში მათდამი არსებული დადებითი განწყობა შეასუსტოს. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც ევროკავშირთან დაკავშირებით პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, „პატრიოტი TV“, Facebook-გვერდი „პოლიტიკანო“, „თვალსაზრისი“, „ნიუსფრონტი“, „ალტ-ინფო“ და „ალტ-კლუბი“, isari.ge, „კარდჰუ“.

მონიტორინგის პერიოდში პრორუსული პროპაგანდა ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ „საქართველო კოლონია“ და მრავალი ქვეყნის მიერ არის ოკუპირებული, რადგან საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება დადო. „საქართველო და მსოფლიო“ ანტიდასავლურად განწყობილი „ექსპერტების“ საშუალებით ავრცელებდა [ინფორმაციას](#), თითქოს საქართველოს ხელისუფლება „დასავლელ პოლიტიკურ გარანტორებთან მონურ მდგომარეობაშია“, რის გამოც კრიმინალები პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გაანთავისუფლან.

ასოცირების ხელშეკრულების დადებით, საქართველო ევროკავშირის კოლონიად იქცა

პრორუსული გაზეთის „საქართველო და მსოფლიოს“ [მიხედვით](#), დასავლეთი რუსეთთან ერთი ერთზე ლაპარაკსა და თანამშრომლობას გვიკრძალავს, მაშინ როდესაც ევროპელები აღნიშნულზე უარს არ ამბობენ. პრორუსული გაზეთის თანახმად, დასავლეთს არ სურს საქართველოში რუსი ინვესტორების შემოსვლა, რადგან მათი გაკეთებული შეიძლება მოსახლეობას მოეწონოს და რუსული ფირმებისადმი სიმპათია გაუჩნდეს. თავის მხრივ, ევროპელი ინვესტორებიც არ შემოდიან საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გამო, რის შექმნასაც თავად დასავლეთი უწყობს ხელს. „საქართველო და მსოფლიოს“ აზრით, ეს გამოიხატა დასავლეთის მიერ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებაში ჩარევაში, რის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლებას 120/30 მოდელის საარჩევნო სისტემა მიაღებინეს 40%-იანი ჩამკეტით, რათა პარტიებს დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტება გაუჭირდეთ. შესაბამისად, დასავლეთი საქართველოს კოალიციური მთავრობის შექმნას აძალეებს. გაზეთის მტკიცებით, კოალიციური მთავრობები ვერც განვითარებულ და ვერც ნახევრად-განვითარებულ ქვეყნებში ვერ ამართლებს. აქედან გამომდინარე, პრორუსული გამოცემა ასკვნის, რომ საარჩევნო რეფორმა დასავლეთის ზეწოლის შედეგად გატარდა, „ისე, რომ ამომრჩეველს არაფერი ჰკითხეს“, რათა ქვეყანაში

დასავლეთი საქართველოს კოალიციური მთავრობის შექმნას აძალეებს

არასტაბილური პოლიტიკური გარემო შექმნან და „ჩინელი, ირანელი ან არაბი“ ინვესტორის გარდა სხვა ქვეყნებიდან ინვესტიციების შემოდინებას შეუშალონ ხელი. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე **წერდა**, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მაღალი საარჩევნო ბარიერი და „თითზე ჩამოსათვლელი“ პარტიებია, საქართველოს ნულოვან ბარიერისა და ასობით პარტიის ქონას აძალებენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ლიბერალიზმის მომხრე პარტიები არსებობას შეწყვეტენ.

„ალტ-ინფომ“ პარლამენტში ქალთა კვოტირებაც უმრავლესობის აზრისა და დემოკრატიის საწინააღმდეგოდ დასავლეთის მიერ ძალით თავს მოხვეულ კანონად **შეაფასა** და ასევე დაამატა, რომ მომავალში შეიძლება ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების კვოტირებაც მოგვთხოვონ. ასევე წინასაარჩევნოდ ვრცელდებოდა **პროპაგანდა**, რომ ყველა პროდასავლური პარტია „მხოლოდ თავის დივიდენდებზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხოლო მათი ნებისმიერი საარჩევნო დაპირება ფუჭი და ყალბია“. მის მიხედვით, „არავინ აფინანსებს ზნეობას, მორალსა და პატრიოტიზმს, ფინანსდება მხოლოდ ლალატი, უზნეობა და მტრობა ქვეყნისა, რისთვისაც დასავლეთი ფულს უხდის ხელისუფლების გადაგვარებულ წარმომადგენლებს...“.

ევროკავშირისა და დასავლეთს ანტიდასავლური წყაროები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მოქმედებაში ადანაშაულებენ და **წერდნენ**, რომ დასავლეთში არ სურთ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კვლავ ხელისუფლების სათავეში იხილონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამომრჩეველი მხარს დაუჭერს.

მონიტორინგის ფარგლებში კვლავ შეიმჩნეოდა „დასავლური ფასეულობების“ **დემონიზაციის** ტენდენცია. ანტიდასავლურად განწყობილი სასულიერო პირების მიერ ვრცელდებოდა პროპაგანდა, რომ „დასავლური ფასეულობებით“ საქართველოსა და ქართველ ხალხს, და ზოგადად მართლმადიდებელ ერებს ებრძვიან და საზოგადოებაში „ლგბტ“ გარყვნილების დანერგვას ცდილობენ. ასევე აღნიშნული პროპაგანდის **მიხედვით**,

აღმოსავლეთ პარტნიორობის
საფარქვეშ კავკასიელი
ხალხების ტრადიციებზე
მიმდინარეობს შეტევა

„ათეისტი კომუნისტებიც კი არ ცდილობდნენ ქართველების ოჯახური და სოციალური ტრადიციების წართმევას“, ხოლო ევროპული პროგრამების საფარქვეშ, როგორცაა, მაგალითად, აღმოსავლეთის პარტნიორობა, მიმდინარეობს რეალური შეტევა კავკასიელი ხალხების „საუკუნოვან საფუძველზე“. აღნიშნული დეზინფორმაციის თანახმად, საქართველოში მართლმადიდებლებს გარკვეული მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ წინაპრების ტრადიციებზე უარის თქმას სთავაზობენ. ხოლო იმის გამო რომ ხორციელდება „აგრესიული მცდელობები“, რათა დაამკვიდრონ ჰომოსექსუალური ურთიერთობების ღირებულებები, დასავლური ოჯახის და საზოგადოების მენტალიტეტი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას პროევროპული პოლიტიკური პარტიები სძულს და ამიტომ მათ მომავალი არ აქვთ. შესაბამისად, ევროკავშირს მოუწოდეს, დატოვოს კავკასია. პრორუსული წყაროები **აღნიშნავდნენ**, რომ დასავლელი მოკავშირეები სკოლებში „ლგბტ“ ურთიერთობისა და სექსუალურობის საკითხების სწავლებას მოგვთხოვენ, რაც

ნიშნავს „ბავშვების სულების გარყვნას სასკოლო ასაკიდან“, სიწმინდისა და ტრადიციების ხაზის გადასმას.

მონიტორინგის პერიოდში ანტიდასავლური დეზინფორმაცია დასავლურ განათლებასაც ესხმოდა თავს და **წერდა**, რომ დასავლური განათლების შედეგად მშობელმა და მასწავლებელმა ფუნქცია დაკარგეს და ყველაფერი მანდატურის ან არასამთავრობო ორგანიზაციის გადასაწყვეტი გახდა. მათი მტკიცებით, ამის გამო „მთავარი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაბადებულთა უმრავლესობას სჯერა, რომ მასზე მანდატური და არასამთავრობო ორგანიზაცია უფრო იზრუნებენ, ვიდრე მშობელი და მასწავლებელი“.

ევროკავშირის წევრობის დისკრედიტაციისათვის ანტიდასავლური წყაროები ასევე **მიუთითებდნენ**, რომ ის, ისევე როგორც სხვა ზეეროვნული გაერთიანებები ეროვნული სუვერენიტეტს ზღუდავენ, რის მაგალითადაც დიდ ბრიტანეთს ასახელებენ. სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით ისინი არასრულად და მანიპულაციურად **ავრცელებდნენ** ჟან მონეს ციტატას - „ევროპული სახელმწიფოები უნდა წავიყვანოთ ერთიანი სუპერსახელმწიფოსკენ ისე, რომ მათი ხალხები ვერ მიხვდნენ, რა ხდება“ - და ამტკიცებდნენ, რომ ეს გამონათქვამი ევროკავშირის დემოკრატიისა და გამჭვირვალობის მიმართ მის დამოკიდებულებას ასახავდა.

ბოლო პერიოდში ანტიდასავლური წყაროებისთვის აქტუალური საკითხი იყო ბავშვთა უფლებათა კოდექსი, რომელსაც მანიპულაციურად უარყოფით წარმოადგენდნენ. ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის თავმჯდომარემ და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დიდუბე-ჩუღურეთის ოლქში მაჟორიტარობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, ბავშვთა უფლებათა კოდექსს „იუვენალური ფაშიზმი“ **უწოდა**. მისი მტკიცებით, კოდექსი ოჯახის უფლებებს ზღუდავს და სასამართლოში მათი ინტერესების დაცვის საშუალებას პრაქტიკულად არ აძლევს. თუმცა, მისი აზრით, საკანონმდებლო ორგანომ, რომელიც ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, ფაქტობრივად, უფლებოა, სამართლიანი კოდექსი არ მიიღოს.

„საქართველო და მსოფლიომ“, რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, მედიასივრცეში დეზინფორმაციის გავრცელებაში დასავლეთი **დაადანამაჟულა**, რადგან მათ მიერ დანერგილმა სიტყვის თავისუფლებამ ყალბი ამბების გავრცელებას ხელი შეუწყო. ასევე მის მიხედვით, დასავლეთი დეზინფორმაციას აქტიურად იყენებს, მაგალითად ერაყში შეჭრის გასამართლებლად და ასევე 2014 წლის აპრილში ყირიმში ცარიელი დახლების შესახებ ყალბი სიუჟეტით რუსეთის დისკრედიტაციისთვის. ასევე სირიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ყალბი ინფორმაციების გავრცელებაში BBC-ს, CNN-სა და Al Jazeera-ს დასდეს ბრალი. პრორუსული პროპაგანდის თანახმად, ჟურნალისტები და ბლოგერები მხოლოდ იმ დეზინფორმაციას ამხელენ, რომელიც რუს მანიპულატორებს მიეწერებათ, რითაც, მაგალითად, StopFake-ი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს მხოლოდ რუსეთი აწარმოებს.

დეზინფორმაცია დასავლური
ფენომენია და ის სიტყვის
თავისუფლების პროდუქტია

ევროკავშირის დისკრედიტაციისათვის პრორუსულმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ კვლავ განაგრძო [სტატიების სერიის](#) - „ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია“ - [გამოქვეყნება](#), რომელიც ევროკავშირის „გეგმებს, მექანიზმებსა და შედეგებს“ შეეხება. მის მიხედვით, უმცირესობათა ავტონომიებისთვის ბრძოლას ძლიერი მხარდაჭერა აქვს და კარგად მართული და კოორდინირებული პროცესის მეშვეობით ვითარდება, რასაც ევროპის სახელმწიფოები ეთნორეგიონებად დანაწევრებისკენ მიჰყავს; ეს კი დესტაბილიზაციას, ლოკალურ კონფლიქტებსა და საჭიროების შემთხვევაში ქაოსსაც კი გამოიწვევს, რათა ზესახელმწიფოებრივი ქსელური ტიპის თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს. გაზეთის თანახმად, ევროპაში „საბაზრო ისლამი“ ყალიბდება, რაც ისლამის გავრცელების ხელშეწყობას (მიგრანტების მიღებით და ისლამისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტატუსის მინიჭების ადვოკატირებით) გულისხმობს. აღნიშნული სტატიების სერია ავრცელებდა ნარატივს, რომ ევროპა ვერ შეძლებს შეინარჩუნოს არსებული სოციალური მთლიანობა, რადგან შობადობა და შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად მცირდება, რაც მუშახელის დეფიციტს ქმნის, რის გამოც ევროპის სახელმწიფოები საპენსიო ასაკის გაზრდასა და პენსიონერთა უზრუნველყოფის სქემების შეცვლას ცდილობენ. ხოლო არსებული სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონის სტანდარტების ჩამოშლის თავიდან აცილებას მიგრანტების მიღებით ცდილობენ.

ევროკავშირის უარყოფით კონტექსტში წარმოსაჩენად ანტიდასავლური პროპაგანდა კვლავ აქტიურად იყენებდა მიგრანტების საკითხს. „საქართველო და მსოფლიოს“ [მიხედვით](#), მიგრანტები პარიზის ნაწილს ატერორებენ და, შედეგად, ცხოვრება შეუძლებელი ხდება. აღნიშნულმა კი გამოიწვია საპროტესტო კამპანია ლოზუნგით: “შეაჩერეთ დაუცველობა”, რათა ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ მაროკოული წარმოშობის არასრულწლოვნების პრობლემას“. ანტიდასავლური მედია წერდა, რომ [კრიმინალის](#) მხრივ მიგრანტები [საფრანგეთის](#) გარდა პრობლემებს [ესპანეთშიც](#) და [შვედეთშიც](#) ქმნიან. ტრადიციულად, ანტიდასავლური წყაროები ევროპაში ევროსკეპტიკოსი პოლიტიკოსებისა და პარტიების მხარდაჭერით გამოირჩევიან. იგივე ტენდენცია სექტემბერ-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა, რაც ვიქტორ ორბანის განცხადების გამოქვეყნებაში გამოიხატა, რომლის [მიხედვითაც](#) „2050 წლისთვის ევროპის მოსახლეობის 20% მუსლიმი იქნება, მაგრამ ცენტრალური ევროპა მიგრაციის საკითხში სხვა გზას ირჩევს“. ასევე [ავრცელებდნენ](#) ორბანის განცხადებას, რომ „ჯორჯ სოროსი არასამთავრობო ორგანიზაციების მაფიოზური ქსელის ხელმძღვანელია“, რომელიც ევროპის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას პრობლემას უქმნის, რადგან ის „მართავს ბრიუსელის პოლიტიკას და ევროპაში ყოველწლიურად 1 მილიონი მიგრანტის შეყვანას ცდილობს“; მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ის აღნიშნულს ძალითაც, ევროპელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდაც კი გააკეთებს. ასევე [ამტკიცებდნენ](#), რომ „მიგრანტი მუსლიმების ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტად გადაქცევის ინტენსიური პროცესი“ გამოკვეთილია, რამაც „სერიოზული სოციალური პრობლემები“ გამოიწვია და ამიტომ ევროპაში „საზოგადოების დეზინტეგრაციაზე“ დაიწყო მუშაობა.

„საქართველო და მსოფლიო“ მიგრანტების მიღებას „ევროპის თვითმკვლელობას“ [უწოდებს](#) და წერს, რომ იაფი მუშახელის მიზიდვითა და მულტიკულტურალიზმის დანერგვით ეკონომიკის

განვითარების მცდელობა მრავალ პრობლემას გააჩენს. კონკრეტულად კი, პრორუსული გაზეთი მკითხველს აშინებს, რომ ევროპაში შეიძლება 60-70 მილიონი მიგრანტი დასახლდეს, რაც სოციალური სისტემის ნგრევას, უმუშევართა რაოდენობის მატებას, საცხოვრებლის დეფიციტს, დანაშაულისა და კონფლიქტების რაოდენობის მატებას, ისლამიზაციის გავრცელებას, ტერორისტული რისკების გაზრდას გამოიწვევს და ევროპული ცივილიზაციის ფასეულობებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. აღნიშნული ნარატივის გასამყარებლად „საქართველო და მსოფლიომ“ მარი ლე პენის სიტყვებიც მოიშველია, სადაც იგი „ემშაკთან პაქტის“ შესახებ საუბრობს, რომელიც ფრანგული ცივილიზაციის ფასეულობებს ეჭვის ქვეშ აყენებს. თუმცა გამოცემა მას მორიდებით გამოხატულ აზრს უწოდებს, რადგან, მათი აზრით, რეალობა უფრო მძიმეა.

მიგრანტი მუსლიმების დიდი რაოდენობით მიღებამ ევროპული საზოგადოების დეზინტეგრაცია გამოიწვია

„საქართველო და მსოფლიომ“ ევროკავშირში იდეოლოგიურ განხეთქილებაზეც მიუთითებდა, რადგან აღმოსავლეთ ევროპა მემარცხენე კულტურულ დღის წესრიგზე („ლგბტ“ და გენდერული იდეოლოგია) უარს ამბობდა. ანტიდასავლური წყაროები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს სტამბულის კონვენციას მამაკაცის მასკულიზაციის შემზღუდვლად და ოჯახის დამღუპველად წარმოაჩენდნენ, რომელსაც პოლონეთი დაუპირისპირდა. ამასთან, ციტირებდნენ იაროსლავ კაჩინსკის: „პოლონეთი მაშინ უფრო თავისუფალი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა, ვიდრე დღეს, როცა ევროკავშირშია“, რადგან ის „კულტურული სუვერენიტეტის“ წართმევას ცდილობს. ასევე ამტკიცებდნენ, რომ ჩრდილოეთის ნაკადი-2-სა და გერმანიასთან დაპირისპირების გამო „ტრამპს შეუძლია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყენოს“. ხოლო პოლონეთიც, თავის მხრივ, ტრამპის მხარდაჭერისა და ბრიუსელისა და ბერლინის კრიტიკისკენ მიმართულ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად, „საქართველო და მსოფლიომ“ ასკვნის, რომ ბრექსიტის შემდეგ ევროკავშირისგან „ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის გამოყოფა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იქნება“.

საანგარიშო პერიოდში, წინა ანგარიშების მსგავსად, კვლავ გრძელდებოდა უსაფუძვლო განცხადების პროპაგანდირება და შიშის დანერგვა, თითქოს „ევროკავშირი დანგრევის პირასაა“, რადგან პანდემიის წინაშე ევროპა ერთიანი არაა. ასევე ამტკიცებდნენ, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე იკვეთება პოლიტიკურ-ეკონომიკური ბზარები. მათი არგუმენტის მიხედვით, თუ კვიპროსის საკითხთან

ევროკავშირი დანგრევის პირასაა და ევროპაში მალე საზღვრების ცვლილების პროცესი დაიწყება

დაკავშირებით შექმნილი დაპირისპირების გამო საბერძნეთი და თურქეთი სამხედრო კონფლიქტის საფრთხემდე მივიდნენ, იგივე შეიძლება გააკეთონ NATO-ს კიდევ ორმა წევრმა - სლოვენამ და ხორვატიამ. მათ თანახმად, პოლონეთს შეუძლია ანტიდასავლური ქვეყნების ბლოკში 12 ცენტრალური და ევროპის ქვეყანას მოუყაროს თავი და აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ ვარშავის პაქტის მსგავსი გაერთიანება შექმნას. აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლური წყაროები ევროკავშირის

დაშლის შესახებ წინა მონიტორინგის პერიოდებშიც მიუთითებდნენ, თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთად დაშლის მთავარ მიზეზად კორონავირუსის პანდემიით შექმნილ კრიზისს ასახელებდნენ, რომელიც მოცემულ მონიტორინგის პერიოდში გასული თვეების მასშტაბთან შედარებით თითქმის აღარ ფიგურირებდა.

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე

ანტიდასავლური დეზინფორმაციის ერთ-ერთ ამოცანას დასავლეთის და დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია წარმოადგენს, რითაც ისინი ხშირად რუსეთის ქმედების გადაფარვას ან მის პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენას ცდილობენ. საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა საერთაშორისო რეზონანსულ საკითხზე პრორუსული ჯგუფები ყალბი და დაუსაბუთებელი ინფორმაციების გავრცელებით დამნაშავეის ისრების დასავლეთისკენ გადამისამართებას და რუსეთის ბრალეულობის გადაფარვას ცდილობდნენ. მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან, როგორებიცაა: დასავლური ღირებულებები, ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკა, ბელარუსის მოვლენები, ერაყის და ავღანეთის სამშვიდობო მისიები, რუსეთის და დასავლეთის როლი ქართულ-აფხაზურ დიალოგში, ყარაბაღის კონფლიქტი და ა.შ. საერთაშორისო საკითხებზე დეზინფორმაციის გავრცელებით გამოირჩეოდნენ „ნიუსფრონტი“, „თვალსაზრისი“, „საქართველო და მსოფლიო“, isari.ge, Facebook გვერდები „დედაქალაქი“, „ანტილიბერალური დოქტრინა“, „alt-info“, „პოლიტიკანო“ და „spacenews“.

საერთაშორისო საკითხებზე მიმართულ დეზინფორმაციასა და პროპაგანდაში, კვლავაც აქტუალური იყო ბელარუსის საკითხი. „თვალსაზრისი“ აქტიურად [ამუქებდა](#) რუსეთის და პირადად პუტინის პოზიტიურ როლს ბელარუსის კრიზისის განმუხტვასა და ლუკაშენკოს რეჟიმის შენარჩუნებაში. „ნიუსფრონტმა“ გაავრცელა [სტატია](#), სადაც ის ბელარუს ლიბერალებს პოლიციის მიმართ ყალბი ბრალდებების გავრცელებასა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ადანაშაულებს და მათ ალეგორიულად „ვარდების რევოლუციის ექსპორტიორებად“ მოიხსენიებს. „ნიუსფრონტმა“ ბელარუსიაში ლუკაშენკოს რეჟიმის შენარჩუნება ლიბერალიზმის მარცხად [მონათლა](#). Isari.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში ბელარუსის ოპოზიციის ლიდერის სვეტლანა ტიხონოვსკაიას პიროვნების დაკნინებას და მისი დასავლეთის მარიონეტად წარმოჩენას [ცდილობდნენ](#), ხოლო თავად დასავლეთი კი ბელარუსის საქმეებში უხეშად ჩარევაში დაადანაშაულებს.

ბელარუსში ლუკაშენკოს ლიბერალები ებრძვიან დასავლეთის წაქეზებით, რათა ტრადიციული ღირებულებების უკანასკნელი ბასტიონი დაამარცხონ ევროპაში

ბელარუსში განვითარებულ მოვლენებზე აქტიურად საუბრობდა „საქართველო და მსოფლიოც“. გაზეთმა ხაზი გაუსვა ბელარუსის ლიდერის და მისი ოჯახის ტრადიციული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას და ის ესტონეთის პრეზიდენტს [შეადარა](#), რომელიც სხვადასხვა უმცირესობების

წარმომადგენლების მიმართ მხარდაჭერას ღიად აფიქსირებს. ამ შედარების ძირითადი ლაიტმოტივი იყო ის, რომ ბელარუსი იცავს ტრადიციულ, კონსერვატიულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებს, მაშინ როდესაც რეალური ევროპული ღირებულებების სახე ესტონეთის პრეზიდენტის მსგავს დამოკიდებულებებში გამოიხატება. ბელარუსის პროცესების ფასეულობათა ჭრილში გადატანის მცდელობა Facebook-გვერდ „ანტილიბერალურ დოქტრინასაც“ ჰქონდა, რომელიც დამახინჯებული კონტექსტის მქონე [პოსტით](#) შეეცადა საპროტესტო მოძრაობის დისკრედიტაციას. „საქართველო და მსოფლიომ“ კიდევ ერთი [სტატია](#) გამოაქვეყნა, სადაც ცნობილი „სტალინის მკვლევარი“, გრიგოლ ონიანი, ლუკაშენკოს ხოტბას ასხამს და მას ბელარუსის გადამრჩენელს უწოდებს, რომელსაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მსახურებაში პუტინმაც უნდა მიბადოს. ლუკაშენკოს, როგორც ტრადიციული და კონსერვატიული ღირებულებების მქონე ლიდერად, წარმოჩენა წინა პერიოდის მონიტორინგშიც იკვეთებოდა.

დეზინფორმაციის სამიზნეში მოექცა რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტიც. სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე საომარი მოქმედებების მანიპულაციურად გაშუქების გზით, სხვადასხვა აქტორი საქართველოს დისკრედიტაციასა და მასში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დაპირისპირებისთვის იყენებდნენ. Eurasia Daily (EA Daily) „რუსი და ქართველი

საქართველომ ყარაბაღის ომში ღია მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს და ხელს უშლიდა სომხეთის მიმართულებით ჰუმანიტარული ტვირთის გატარებას

ხალხების ერთიანობის ფონდის“ დირექტორ ვლადიმერ ხომერიკზე დაყრდნობით [ინფორმაციას](#) ავრცელებდა, თითქოს საქართველო რუსეთში სომხური დიასპორის მიერ შეგროვებულ ჰუმანიტარულ დახმარებას რუსეთიდან ერევანში არ ატარებდა. ასევე სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ცრუ [ინფორმაცია](#), რომ საქართველო პატრულის თანხლებით თურქეთიდან აზერბაიჯანის მიმართულებით „აცილებდა“ სატვირთოებს, რომლებსაც თურქული წარმოების საბრძოლო და დარტყმითი უპილოტო საფრენი აპარატები გადაჰქონდა. ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა გამოცემამ oxu.az-მა გაავრცელა ყალბი [ინფორმაცია](#) თითქოს საქართველოში „მშვიდობის ხიდი“ აზერბაიჯანის ეროვნული დროში ფერებში განათდა, კონფლიქტში აზერბაიჯანისადმი ღია მხარდაჭერის გამოსახატად. აღნიშნული ინფორმაცია სოციალური ქსელების მომხმარებლებმა აქტიურად გაავრცელეს როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში. Facebook-გვერდმა „დედაქალაქი“, სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის ყალბი ციტატა [გააზიარა](#), რომელშიც ის თითქოსდა გმობდა ბაგრამიანის ბატალიონის ქმედებებს აფხაზეთის ომში და მას ქართულ-სომხური ურთიერთობების „საბედისწერო შეცდომას“ უწოდებდა.. Facebook-გვერდმა „დედაქალაქმა“ ასევე გამოაქვეყნა ყალბი [ფოტო](#), სადაც ჯორჯ სოროსი და ნიკოლ ფაშინიანი იყვნენ გამოსახულნი, რითიც სომხეთის პრეზიდენტის დაკნინებას შეეცადა.

ტრადიციულად აქტუალური იყო შეთქმულების თეორიები სოროსის და მასთან დაკავშირებული ჯგუფების შესახებ, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებენ „ლიბერალურ რევოლუციების“ მოსაწყობად მსოფლიოს ირგვლივ. ონლაინ გამოცემა „ალტ-ინფომ“ ჯორჯ სოროსის და მისი მხარდაჭერილი „ღია საზოგადოების“ იდეის წინააღმდეგ [გაილაშქრა](#) და სოროსს ბრალი ტრადიციული, ნაციონალისტური საზოგადოების რღვევისა და გლობალური ელიტების ბატონობის ხელშეწყობაში დასდო. „საქართველო და მსოფლიომ“ შეთქმულების [თეორია](#) გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტები და პიროვნებები მსოფლიოს ირგვლივ კოორდინირებულად მოქმედებენ, სხვადასხვა ქვეყანაში ლიბერალური რევოლუციების მოსახდენად და კანონიერი ხელისუფლებების დასამხობად. ამ თეორიის მიხედვით, სოროსის და სხვა გლობალისტების დაფინანსებით, შექმნილია ცენტრები, რომლებიც ამზადებენ აქტივისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოს, უკრაინის და ბელარუსის წარმომადგენლებს, რომლებიც შემდეგ არეულობის მოწყობასა და ხელისუფლებების დამხობაში დებულობენ მონაწილეობას. ამ პროცესების უკან მდგომი ჯგუფები, ასევე ფინანსურ და საკონსულტაციო დახმარებას უწევენ ოპოზიციურ ლიდერებს და ისინი დგანან ბელარუსში განვითარებული მოვლენების უკანაც. დაახლოებით მსგავსი შინაარსის მასალა Facebook მედია Spacenews-მა გაავრცელა, სადაც გამოქვეყნდა დაუსაბუთებელი [ვიდეო](#) ფერადი რევოლუციების და მათ უკან მდგარი ჯგუფების შესახებ. „საქართველო და მსოფლიოს“ კიდევ ერთი [სტატიის](#) მიხედვით კი, „არასამთავრობო ორგანიზაციების მაფიოზური ქსელის უკან“ ჯორჯ სოროსი დგას.

დასავლეთში ამზადებენ აქტივისტებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციებს აწყობენ

პრორუსული და ანტიდასავლური გამოცემები ტრადიციულად შეეცადნენ დასავლური ცხოვრების წესის დისკრედიტაციას. Facebook-გვერდმა „პოლიტიკანომ“ გამოაქვეყნა [პოსტი](#), სადაც ნაჩვენებია აქვს 4 კვადრატულ მეტრ ოთახში მცხოვრები ადამიანი, როგორც დასავლური კაპიტალიზმის სიმბოლო.



Politicano • პოლიტიკანო
მეზუთე კოლონა
 October 9 · 🌐

🚫 განვითარებული კაპიტალიზმის მაგალითი საცხრეთ კორეიდან. მშრომლები იძულებულნი არიან 2X28-ის ფართობის ოთახები იქირაონ და უფრო უარეს პირობებში იცხოვრონ, ვიდრე ციხეში - დამნაშავეებმა.

🚫 უფრო მეტი სიცხადისთვის სამხრეთ კორეელი რეჟისორის ბონგ ჯუნ ჰოს ფილმი „პარაზიტი“ იხილეთ, სადაც ძალიან კარგად არის აღწერილი "სოციალური უთანასწორობის" თემატიკა. #სამხრეთკორეა #მშრომლები

👍🤔😞 58 2 Comments 8 Shares

👍 Like 💬 Comment ➦ Share

Most Relevant ▾

Facebook გვერდმა „სტალინმა“ გამოაქვეყნა [პოსტი](#), სადაც გაეროს მიერ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების გეგმის შესახებ საუბრობენ. გეგმის მიხედვით, ახალი წესრიგის პროგრამა გათვლილია 2021-2030 წლებზე და ის ისეთ აბსურდულ პუნქტებს მოიცავს, როგორებიცაა: ერთიანი მსოფლიო მთავრობა, ერთიანი მსოფლიო არმია, კერძო საკუთრების და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმება და ა.შ. „სტალინმა“ ასევე გამოაქვეყნა [პოსტი](#), რომლის მიხედვითაც, ამერიკა იბრძვის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესაჩერებლად, რადგან მისი განხორციელების შემთხვევაში ევროპაზე გავლენას დაკარგავს. ამერიკის მიერ ჩრდილოეთ ნაკადის მშენებლობის შეჩერების ნაწილად ნავალნის და ბელარუსის შემთხვევები დასახელდა.

ანტიდასავლური გამოცემების კიდევ ერთი ნარატივი დასავლეთის რელიგიური და მორალური დეგრადაციის წარმოჩენა იყო. Facebook-გვერდმა „ახალგაზრდული ერთობა“ საზეიმო განწყობით გამოაქვეყნა უნგრეთის პრეზიდენტის ვიქტორ ორბანის [ციტატა](#), რომლის მიხედვითაც „დასავლეთ ევროპამ უარი თქვა ქრისტიანულ ევროპაზე და ამის ნაცვლად ექსპერიმენტს ეწევა უღმერთო კოსმოსით, ცისარტყელის ოჯახებით, მიგრაციითა და ღია საზოგადოებით“. „საქართველო და მსოფლიომ“ მღვდელ გიორგი რაზმაძესთან [ინტერვიუ](#) გამოაქვეყნა, სადაც ის რომის პაპის ინსტიტუტს იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ინსტრუმენტს უწოდებს, ხოლო თავად პაპს დასავლური ნეო-ლიბერალიზმის ჭანჭიკად

გაეროს ახალი გეგმა მიზნად სოფლიო მთავრობისა და არმიის შექმნასა და კერძო საკუთრებისა და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმებას ისახავს მიზნად

მოიხსენიებს. ინტერვიუში გიორგი რაზმაძე აღნიშნავს, რომ ”კათოლიკეები არ არიან ქრისტიანები, ისინი ქრისტიანულ ეკლესიას კი არ წარმოადგენენ, არამედ განხეთქილებაში მყოფ მწვალებლებს, რომლებიც კონკრეტულ დავალებას ასრულებენ“. „საქართველო და მსოფლიომ“ კიდევ ერთი [სტატია](#) გამოაქვეყნა, სადაც საუბარია თითქოსდა გამოძიების შედეგად ინგლისის ეკლესიაში გამოვლენილ ბავშვების მიმართ ძალადობასა და ეკლესიის მხრიდან დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებაზე. (რეალურ გამოძიებაზე ინფორმაცია იხილეთ [აქ](#))

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

მონიტორინგის ფარგლებში, დეზინფორმაციის და პროპაგანდის სამიზნეში რამდენიმე მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური საკითხი გამოიკვეთა, რომელთაც მანიპულაციურად აშუქებდა: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „საქინფორმი“, გამოცემა „თვალსაზრისი“, Facebook-გვერდი „კარდჰუმ“, Facebook-გვერდი „ნაცია ადამიანი?!“, Facebook-გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, Facebook-გვერდი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, Facebook-გვერდი „სტალინი“, Facebook-გვერდი „საერთო გაზეთი“, Facebook-გვერდი „მსოფლიო საოჯახო კონგრესი“, Facebook გვერდი „მნიუსი“, Facebook გვერდი „მიხეილ დაღმაშენებელი“, Facebook-გვერდი „TV - ქართული აზრი“, Facebook-გვერდი “მეფე TV”.

დეზინფორმაცია გარეჯის კომპლექსის შესახებ

წინასაარჩევნო პერიოდში, პრორუსული გვერდებისა და ანტიდასავლური აქტორების მიერ დავით გარეჯის საკითხისადმი განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვა გამოიკვეთა. კერძოდ, ანტიდასავლურმა გვერდმა „კარდჰუმ“, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ბრალი დავით-გარეჯის [„გაყიდვაში“](#) დასდო, ხოლო საკითხის გარშემო ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში ბიზნესმენ დავით ხიდაშელის³ როლი დადებითად შეაფასა. ამასთან, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ გარეჯის საქმეზე დაკავებულ ნატალია ილიჩოვას, [„ქართველთმომძულე დავებოვკეებულები აგენტი“](#) უწოდა, რომელმაც „სავარაუდოდ, ფულიც აიღო სოკარისგან“. ბრეგაძის მიხედვით, ილიჩოვამ არსებული რუკები „დამალა“ და ამით „დავითგარეჯი აზერბაიჯანის საზღვრებში მოაქცია“. ანტიდასავლური პოლიტიკური პარტიის ლიდერის მტკიცებით, დავით გარეჯი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის და მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას, ამას გარდა, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას დავალებით „გაყიდეს“. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აზერბაიჯანისა და პირადად ალიევისთვის „ჩუქებისთვის“ „ნაციონალურ მოძრაობის“ ხელისუფლებას [ბრალი](#) კიდევ ერთმა ანტიდასავლურმა Facebook-გვერდმა, „საქართველო უპირველეს ყოვლისამ“ დასდო.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ დავით გარეჯი აზერბაიჯანს მიჰყიდა

³ დავით ხიდაშელის მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი გახმაურებული რუკა საზღვრის დამდგენი კომისიის ორი თანამშრომლის დაკავების საფუძველი გახდა

დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური გზავნილები ვრცელდებოდა პრორუსული გამოცემა „[თვალსაზრისის](#)“ და Facebook-გვერდების „[საერთო გაზეთის](#)“, „[მსოფლიო საოჯახო კონგრესისა](#)“ და „[ანტილიბერალური დოქტრინის](#)“ მიერაც. საგულისხმოა, რომ დავით გარეჯის საკითხზე პრორუსული/ანტიდასავლური აქტორებისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოზიციები ერთმანეთს დიდწილად ემთხვეოდა. კერძოდ, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამად თავდაცვის მინისტრის პოსტზე მყოფმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავით გარეჯის დელიმიტაცია-დემარკაციაზე საუბრისას პროსახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში [აღნიშნა](#), რომ ღალატი ჩაიდინა, ვინც 2006-2007 წლებში საზღვრის თემაზე მუშაობდა და ისინი "კოლექტიური სააკაშვილები არიან". ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს, ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში მუდმივად [ჩანდა](#) წარწერა „გარეჯი საქართველოა“.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების წინ, დავით-გარეჯის საკითხის კონტექსტში, დეზინფორმაცია კონკრეტული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების წინააღმდეგაც გავრცელდა. კერძოდ, Facebook-გვერდის, „ნაცია-ადამიანის?!“ [მიხედვით](#), „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „დავით-გარეჯი არ არის საქართველოს ტერიტორია“. იდენტური შინაარსის შემცველი დეზინფორმაცია Facebook-გვერდმა „ამხილე“ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიაში მყოფი გუბაზ სანიკიძის შესახებაც [გაავრცელა](#).

„დოსიეს“ ანგარიშებში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ მოცემული ინფორმაციები შეთხზულია და საქართველოში რუსული პროპაგანდა საერთოდ არ არსებობს

ყოფილი რუსი პოლიტკატიმრის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაარსებული საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმა „დოსიეს“ მიერ მოპოვებული დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, პოლიტიკურ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ წინასაარჩევნოდ კონსულტაციებს რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირები უწევდნენ, მათ საქმიანობაზე ანგარიშს კი სახელმწიფო სტრუქტურებს აბარებდნენ, პრორუსულმა ძალებმა აბსურდად მიიჩნიეს. კერძოდ, გამოცემა „საქინფორმმა“ საკითხს [არაერთი სტატია მიუძღვნა](#), რომლებშიც „საქინფორმის“ რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი „პატრიოტთა ალიანსს“ იცავდა და [აცხადებდა](#), რომ ხოდორკოვსკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალები პარტიის მიმართ „ცილისწამების ერთ-ერთი ეპიზოდია“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის ფედერაციისგან თანხას ვერ აიღებდა, რადგან ანგარიშში მითითებული კომპანია „POLITSECRETS“, რომელიც, „დოსიეს“ მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსთან“ თანამშრომლობდა, „უკვე სამ წელიწადზე მეტია იურიდიულად და ფიზიკურად აღარ არსებობს“.

„დოსიეს“ ანგარიშები „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ მიმართული ცილისწამება იყო და მიზნად არჩევნებში პარტიისთვის ხელის შეშლას ისახავდა

თავის მხრივ, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი და დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დიმიტრი

ლორთქიფანიძე [ამტკიცებდა](#), რომ “არანაირი რუსული პროპაგანდა საქართველოში არ არსებობს“, ხოლო საქართველოს არჩევნებში რუსული ჩარევის საფრთხე „მოგონილია იმისთვის, რომ არჩევნებში რაც შეიძლება ფართო სპექტრით გაამარჯვებინონ ლიბერალურ ძალებს“. აღსანიშნავია, რომ პრორუსული გამოცემები „დოსიეს“ ანგარიშებს გამოქვეყნებიდან მალევე, აგვისტოშიც [გამოეხმაურნენ](#). ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 4 ოქტომბერს სახელმწიფო უწყებების მიმართ გაკეთებული ერთობლივი განცხადების შემდეგ, რომელშიც ისინი ხელისუფლებას „დოსიეს“ მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებდნენ, პრორუსული პროპაგანდის ღიად გამავრცელებელი ტელევიზიის, „ობიექტივის“ ეთერში აღნიშნული ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი 14 წუთიანი [სიუჟეტი](#) გავიდა. ტელეკომპანია „ობიექტივის“ სიუჟეტში „საქართველოს რეფორმების ასოციაცას“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და სხვა ორგანიზაციებს, ბრალი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში დასდეს.

ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალის დაყაჩაღება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო

ანტიდასავლური აქტორები, 21 ოქტომბერს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალის დაყაჩაღების ფაქტსაც გამოეხმაურნენ და მომხდარში ოპოზიციის კვალი დაინახეს. მათ მიერ გავრცელებული განცხადებების მიხედვით, დაყაჩაღებაში მონაწილე თავდამსხმელი, რომელიც მძევლად აყვანილი პირების გამოსასყიდის

ზუგდიდში ბანკზე თავდასხმა ოპოზიციის მოწყობილი იყო და საზოგადოების დაზაფვრას ისახავდა მიზნად

სახით 500 ათას აშშ დოლარს ითხოვდა და საკუთრივ მძევლებიც, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობდნენ. დეზინფორმაციის მიხედვით, თავდასხმა სინამდვილეში დადგმული სპექტაკლი იყო, რაც მიზნად საზოგადოების დაზაფვრას ისახავდა. „თვალსაზრისის“ მიერ გავრცელებული [ინფორმაციით](#), ბანკში „ტერორისტების შეჭრა მძევლებთან წინასწარ იყო შეთანხმებული“. აღნიშნული ნარატივი სოციალურ ქსელში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა და პრორუსული ტელეკომპანია „ობიექტივის“ მთავარმა რედაქტორმა, ბონდო მძირნარაშვილმაც [გავრცელა](#). მისი მიხედვით, ბანკის დაყაჩაღება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, რომელსაც პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელში გავრცელდა საპირისპირო [ნარატივიც](#), რომ „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე განხორციელებული თავდასხმა არა „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ „ქართული ოცნების“ მიერ მოწყობილ სპექტაკლს წარმოადგენდა.

ოპოზიციონერი ლიდერების საწინააღმდეგო კამპანია წინასაარჩევნო პერიოდში

გარდა ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში ანტიდასავლურმა გამოცემებმა და სხვადასხვა Facebook-გვერდმა ოპოზიციონერი ლიდერების დისკრედიტაციის ფართო კამპანიაც წარმართეს. პრორუსული გამოცემა „საქინფორმი“ [ამტკიცებდა](#), რომ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებისა და პრემიერ-მინისტრად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემთხვევაში, აფხაზეთთან და

ცხინვალთან არსებული „გამჭვირვალე საზღვრები მთლიანად ჩაიკეტება; უკვე სრულფასოვანი საზღვრების დაცვა გაორმაგდება; ჟენევის ფორმატი აღარ იარსებებს - ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები არასდროს დასხდებიან მოლაპარაკებების მაგიდასთან პრემიერ-მინისტრ სააკაშვილის წარმომადგენლებთან“. „საქინფორმის“ მიხედვით, არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხებისა და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემთხვევაში, „წარსულს ჩაბარდება არა მხოლოდ აფხაზებსა და სამხრეთ ოსებთან შერიგებისა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების, არამედ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების იმედებიც“, რადგან გამოცემის მტკიცებით, ქვეყანაში არასტაბილურობა დაისადგურებს, რის გამოც მისგან თავს ყველა შორს დაიჭერს.

„საქინფორმის“ რედაქტორის, არნო ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში **ჯორჯ სოროსი**, რომელიც ანტიდასავლური გამოცემების ტრადიციული სამიზნეა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მოქმედებს. ხიდირბეგიშვილის მიხედვით, სოროსი ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად ოპოზიციურ პარტიებს აფინანსებს, რასაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბიუჯეტის გავლით ახდენს. სტატიაში პრორუსული გამოცემის რედაქტორი ამტკიცებს, რომ „საქინფორმს“ საკითხზე ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა მიაწოდა. სტატიის მიხედვით, აღნიშნული კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, 2019 წლის ზაფხულში „გავრილოვის ღამის“ შემდეგ „ქართული ოპოზიციის ლიდერებმა საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის უზარმაზარი თანხები მიიღეს“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, ჯორჯ სოროსი „ქუჩის საპროტესტო აქციებს მასიურად პროვოცირებს“. ამასთან, „საქინფორმის“ რედაქტორი სოროსის კვალს იმ ახალგაზრდული მოძრაობების („სირცხვილიას“, „გაბედეს“, „შეცვალეს“) შექმნაში ხედავდა, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ხშირად საპროტესტო აქციებს ატარებენ.

პოლიტიკოსების დისკრედიტაციის კონტექსტში, სხვადასხვა Facebook-გვერდი და გამოცემა აქტიურობდა და მათ სამიზნეში ოპოზიციის არაერთი წევრი მოხვდა. გამოცემა „საქინფორმის“ **მტკიცებით**, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს და ვიდეო რგოლის ჩაწერის გადაწყვეტილება, რომელშიც ის საქართველოში ჩამოსვლას აანონსებს, „კოკაინის დიდი დოზის ქვეშ მიიღო“.

Facebook-გვერდ „მნიუსის“ მიერ, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას შესახებ გავრცელებული **ვიდეო რგოლის** მიხედვით კი, „სასტიკი და დაუნდობელი, ემპათიის არ მქონე“ ბოკერია ქართული ეკლესიის მიმართ „აგრესიული“ და „შეუწყნარებელია“, და ის ჟურნალისტ დავით პაიჭაძესთან ერთად, „გლდანის ეკლესიის მრევლზე თავდასხმაში მონაწილეობდა“. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო აქციაზე ბუბა კიკაბიძის მიერ სიმღერა „თბილისოს“ რუსულად შესრულების შემდეგ, სოციალურ ქსელში ოპოზიციური პარტიის პირველი ნომრის საწინააღმდეგო **კამპანია** წარიმართა. სხვადასხვა წყარო ბუბა კიკაბიძეს „მოლაღატეს“ უწოდებდა, ხოლო კრიტიკის ერთ-ერთ „არგუმენტად“ რუსი ოპოზიციონერის, სერგეი გავრილოვის მიერ „თბილისოს“ რუსულად შესრულებაზე არ არსებული „გამოხმაურება“ მოჰყავდათ.

სოციალურ ქსელში წინასაარჩევნოდ დეზინფორმაცია „ევროპული საქართველოს“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის [კანდიდატის](#), ოთარ კახიძისა და „ნაციონალური მოძაობის“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის [კანდიდატის](#), ნიკა მელიას შესახებაც გავრცელდა. კერძოდ, ყალბი ამბების მიხედვით, კახიძე საარჩევნო კამპანიას კორონავირუსით ინფიცირების შემდეგაც აგრძელებდა, რითიც ამომრჩევლების ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აგდებდა, ხოლო ნიკა მელიასთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაცია ამბობდა, რომ მის შტაბის წევრებს კორონავირუსი დაუდასტურდათ, რის გამოც შტაბი დაიკეტა.

წინასაარჩევნოდ საინფორმაციო შეტევა პარტია „ლელოს“ ლიდერებზეც განხორციელდა. გამოცემა „თვალსაზრისმა“ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს „მევახშეთა კლასტერი“ [უწოდა](#), რომელთაც „ბოკერია-საკაშვილების მწამებელ კლასტერზე არანაკლები დანაშაული აქვთ ჩადენილი“, რადგან მაშინ, როდესაც „მიმა არბევდა, აწამებდა, არეკეტებდა, დევნიდა, ავიწროვებდა, ხაზარაძე-ჯაფარიძე ქართულ ოჯახებს ღია ცისქვეშ ტოვებდა და მათ გალატაკება-გალარიბებაში თავისი წვლილი გულმოდგინედ შეჰქონდათ“. ამასთან, Facebook გვერდმა „მევახშეთა ლიგა“, სოციალურ ქსელში „ლელოს“ წევრის, გრიგოლ გეგელიას ყალბი ციტატა [გაავრცელა](#), რომლის მიხედვითაც, გეგელიამ, თითქოს, განაცხადა: „ქართველ ხალხს მოუწევს ერთსქესიანთა ქორწინებას შეეგუოს, ლელო იქნება სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველი“.

ოპოზიციონერების მადისკრედიტირებელი კამპანიის კიდევ ერთი მაგალითი კი, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარის, ხათუნა სამნიძის ყალბი ციტატა, რომელიც Facebook-გვერდმა „ანტილიბერალურმა დოქტრინამ“ [გაავრცელა](#). გაყალბებული ციტატის მიხედვით, სამნიძე ამბობს: „ნაცებს მარტო ეს ჰომოსექსუალური პარტია ვაკლდით და ჩვენც დავვმატეთ, ახლა შეგიძლიათგვანდოთ ქვეყანა“. ამასთან, შედარებით მცირე მასშტაბით, მადისკრედიტირებელი მასალა „ქართული ოცნების“ წევრების შესახებაც გავრცელდა. კერძოდ, ვებგვერდ publishers.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიაში „ბიძინა ივანიშვილის მიერ პატრიარქ ილია მეორეს კომპრომატებით შანტაჟის“ შესახებ ვკითხულობთ, ხოლო გამოცემა alia.ge-ის [სტატიის](#) მიხედვით კი, ეკატერინე ტიკარაძის უწყებაში სამინისტროს ორი თანამშრომლის კორონავირუსით ინფიცირებას „მკაცრად ასაიდუმლოებდნენ“.

ამასთან, არჩევნების კონტექსტში, აღსანიშნავია სოციალურ ქსელში გავრცელებული შემდეგი ამბები:

- Facebook გვერდ „მეფე ტვ“-ის პოპულარული ვიდეო, რომელიც ათეულობით ათასმა ადამიანმა ნახა და 3600-ზე მეტი რეაქცია მიიღო, მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისკენ [მოუწოდებდა](#).
- „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრმა მღვდლებმა, რომლებიც ანტიდასავლურ გზავნილებს ხშირად [ავრცელებდნენ](#), ანტიდასავლურ პარტია „ქართული იდეას“ მხარდაჭერა [გამოუცხადა](#).
- პრორუსული გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია ხელისუფლების შეცვლას რევოლუციური სცენარით [გეგმავდა](#).

- 31 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის მიერ გავრცელებული ყალბი ამბის მიხედვით, ავღანეთში მდებარე ქართულ სამხედრო ბაზებზე გამართულ არჩევნებში ოპოზიციამ და კონკრეტულად ნაციონალურმა მოძრაობამ გამარჯვება [მოიპოვა](#).
- პრორუსული გამოცემა „საქინფორმის“ ღიად გამოხატავდა სურვილს, რომ საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართული ოცნების“ შემდეგ, მეორე ადგილზე, „პატრიოტთა ალიანსი“ [გასულიყო](#).
- [ანტიდასავლური](#) Facebook [გვერდების](#) ნაწილი „ქართული ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ თანაბარი ხარისხის ბოროტებად წარმოაჩენდა.

Facebook-ის პლატფორმაზე ქცევის წესების დარღვევის შედეგად ანტიდასავლური გვერდებისა და ქსელების გაუქმების გამო აღნიშნულმა აქტორებმა სოციალურ ქსელს ბრალი განსხვავებული აზრის დევნასა და ცენზურაში [დასდეს](#). უფრო ზოგადად კი, ანტიდასავლური აქტორები აქცენტს საქართველოში ლიბერალიზმის დომინანციაზე აკეთებდნენ. მათი [მიხედვით](#), „ყველა ტელევიზია

სოციალურ ქსელებში
ლიბერალური ცენზურაა
დაწესებული და
განსხვავებული აზრი იდევნება

ლიბერალურ-სოროსულია და ბოლომდე დაცლილია ყველანაირი ეროვნულისაგან“. ამასთან, ნარატივის [მიხედვით](#), „ქართველი ლიბერალები ძალიან გვანან ოციანი წლების ქართველ ბოლშევიკებს, რომლებიც რუსეთიდან ელოდნენ დახმარებას“ და „ეს ხალხი, რომელიც იჩემებს, რომ არის პროდასავლური, გამოირჩევა კოლონიური დამოკიდებულებით ამერიკისადმი“. აღსანიშნავია, რომ ლიბერალიზმისადმი ერთგულების კონტექსტში, ულტრამემარჯვენე ძალების ნაწილი, როგორც ხელისუფლებას, ისე პროდასავლურ ოპოზიციას, ერთ ჭრილში [განიხილავდა](#).

საანგარიშო პერიოდში, ანტიდასავლურმა აქტორებმა ე.წ. ბავშვთა კოდექსს ყურადღება კვლავ [მიაპყრეს](#). სოციალურ ქსელში „მოძრაობა ძლევაი საკვირველიას“ მიერ გავრცელებული [ცნობით](#), ე.წ. ბავშვთა უფლებათა კოდექსი 1-ელი სექტემბრიდან ძალაში შევიდა. Facebook-გვერდის მიხედვით, „ქართული ოცნების“, 5 პარტიად გაყოფილი "ნაცმოძრაობისა" და "პატრიოტთა ალიანსის" პარლამენტში ერთხმად მიღებული ამ უსაშინლესი კანონის ძალით, სოც-მუშაკებს უფლება ეძლევათ ოჯახებს წაართვან ბავშვები და გაასხვისონ არანათესავ სხვა ადამიანებზე, რომლებიც სინამდვილეში არიან ბავშვთა ტრეფიკორები, ადამიანის ორგანოებით მოვაჭრეები და პედარ-წყვილები“.

რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

მონიტორინგის ფარგლებში, პრორუსული გამოცემებისა და Facebook გვერდების მიერ რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდის ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა. ისინი ყურადღებას კვლავ საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლების მნიშვნელობაზე, საქართველოს კონტექსტში დასავლეთთან მიმართებით რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ უპირატესობებსა და რუსებისა და ქართველების ერთმანეთისადმი კეთილგანწყობაზე

ამაზვილებდნენ. რუსული ოკუპაციის ნიველირება და მოსკოვის საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან გათანაბრება სექტემბერ-ოქტომბერშიც გამოიკვეთა, რაც ევროპისა და ამერიკის დისკრედიტაციის განგრძობადი კამპანიის ფონზე ხდებოდა. რუსული პროპაგანდის მხარდაჭერის მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „საქინფორმი“, გამოცემა „ნიუსფრონტი“, გამოცემა „თვალსაზრისი“, Facebook-გვერდი „სტალინი“, Facebook-გვერდი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

პრორუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ქართული მხარის ბრალეულობის გამოკვეთას სექტემბერ-ოქტომბერშიც განაგრძობდნენ. პრორუსული ორგანიზაცია „ევრაზიული ინსტიტუტის“ დამფუძნებლის, გულბაათ რცხილამის მიხედვით, „რუსეთთან ურთიერთობების არევაში დანაშაულის დაახლოებით **70% ჩვენი წილია**“. აღნიშნული ნარატივის ერთ-ერთ მაგალითს რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავებით გამოწვეული საპროტესტო ტალღის იმგვარი შეფასება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, „ოპოზიციის პროვოკაცია გავრილოვის ღამეს არა ანტირუსული, არამედ ანტიქართული“ იყო, რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ საქართველოს მოქალაქეები **დაზარალებდნენ**. „ნიუსფრონტში“ გამოქვეყნებულ კიდევ ერთ **სტატიაში** ვკითხულობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებები რუსეთის გამაღიზიანებელ პოლიტიკას ატარებდნენ, რის მაგალითადაც, მასალაში NATO-ში გაწევრიანების სურვილი და, აგვისტოს ომამდე, ქვეყანაში რუსული სამხედრო კონტინგენტის შემცირებისკენ მიმართული ნაბიჯებია მოყვანილი.

რუსეთთან ურთიერთობის
გაფუჭება დიდწილად
საქართველოს ბრალია

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპაციაში საქართველოს ბრალს Facebook-გვერდი „სტალინიც“ სდებდა. „სტალინის“ მიხედვით, საქართველოს ტერიტორიები ზვიად გამსახურდიამ და ქართულმა ნაციონალიზმმა **დააკარგვინა**. საგულისხმოა, რომ ამის პარალელურად, პრორუსული გამოცემები და Facebook-გვერდები საქართველოს მიმართ კრემლის დადებით დამოკიდებულებაზე აკეთებდნენ აქცენტს. მათი მიხედვით, საბჭოთა კავშირის პერიოდში, იოსებ სტალინს საქართველოსთვის ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებით, რესპუბლიკის ტერიტორიული სიდიდის გაზრდა სურდა, რაშიც ხელი ადგილობრივმა ქართველმა პოლიტიკოსებმა შეუშალეს.

რაც შეეხება უახლეს მოვლენებს, საგულისხმოა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ჟურნალისტ თინა კანდელაკთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრე პატარა პარტიები არსებობენ და ის დარწმუნებულია, რომ „გაიმარჯვებს ჩვენი [რუსეთისა და საქართველოს] ტრადიციული ისტორიული სიახლოვე და ურთიერთმიზიდულობა“. ლავროვის აღნიშნულ

რუსეთი მზადაა ჯანსაღ
პოლიტიკური ძალებთან
თანამშრომლობის
საქართველოში

განცხადებას გამოხმაურება ადგილობრივ პრორუსულ გამოცემებშიც მოჰყვა, კერძოდ, „ნიუსფრონტის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნულ ინტერვიუში საქართველოსთან მიმართებით „მიამიტობით და ცოტაოდენი ალტაცებით“ [საუბრობდა](#), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ „რუსეთში ჯანსაღ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობის მზადყოფნა არსებობს“. ამის გამო, სტატის ავტორის, გულბაათ რცხილადის მტკიცებით, 2008 წლის ომიდან დღემდე არსებულ „უნაყოფო, კონტრპროდუქტიულ“ საგარეო პოლიტიკურ ვექტორსა და რუსეთის ოკუპანტად მოხსენიებაზე უარი უნდა ითქვას, ხოლო მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით, „ფართომასშტაბიანი ასიმეტრიული მოლაპარაკებები“ [დაიწყოს](#), რომლებზეც რუსეთის მხრიდან ხელისუფლების წევრები იქნებიან წარმოდგენილნი, საქართველოს მხრიდან კი, ლავროვის მიერ აღნიშნული პარტიებისა და „კეთილგანწყობილი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები“. აღსანიშნავია, რომ სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგი, საგამოძიებო ცენტრ „დოსიეს“ ანგარიშების მთავარი ობიექტის, „პატრიოტთა ალიანსის“ ოფიციალური საარჩევნო პროგრამის [ნაწილია](#), რასაც პარტიაში „ჩატეხილი ხიდების აღდგენას“ უწოდებენ და დღემდე აქტიურად ლობირებენ.

„საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, ქართველები ზედმეტი სიმწვავეთ ეკიდებიან ყველაფერს რაც რუსეთთანაა დაკავშირებული, ამის მაგალითად კი გამოცემას საქართველოს დედაქალაქში „თბილისის ლოკომოტივისა“ და „მოსკოვის დინამოს“ შორის გამართული საფეხბურთო მატჩი [მოჰყავს](#). პრორუსული გამოცემის მიხედვით, ქართველ გულშემატკივარს შეხვედრაზე ფიზიკურად დასწრება იმისათვის უნდოდა, რომ რუსი ფეხბურთელებისთვის სიტყვერი შეურაცხყოფა მიეყენებინა, ხოლო ამის საპირისპიროდ, რუსი გულშემატკივარი „იმაზე წუწუნებდა, ფრენები რომ იყოს და სტადიონზე შესვლაც შეიძლებოდეს, საქართველოში წავიდოდით, თბილისს ვნახავდით, დავისვენებდით, ძველ მეგობრებს ჩავეხუტებოდით“.

ისევე როგორც გასულ თვეებში, პრორუსული გამოცემები და პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ სამონიტორინგო პერიოდშიც ავრცელებდნენ ნარატივს, რომლის მიხედვითაც, იმისათვის, რომ საქართველო სხვა ქვეყნების სამხედრო პლაცდარმი არ გახდეს, ქვეყანამ სამხედრო მიუმხრობლობა, ან ნეიტრალიტეტი უნდა [გამოაცხადოს](#). პრორუსული გამოცემები კიდევ უფრო ინტენსიურად

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის განვითარება მხოლოდ რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული კავშირის შექმნითაა შესაძლებელი

ავრცელებდნენ შედარებით რადიკალურ გზავნილს რუსეთთან მაქსიმალური დაახლოების შესახებ. მაგალითად, გამოცემა „ნიუსფრონტი“ ამტკიცებდა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის შემდგომი განვითარება არა ნეიტრალიტეტის გამოცხადების, არამედ მხოლოდ რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული [კავშირის](#) შექმნის შემთხვევაშია შესაძლებელი. გავრცელებული გზავნილების მიხედვით, „საქართველოს ერთიანობის [გასაღები](#) მოსკოვში დევს“, რის გამოც „რუსეთთან მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს“ და „მოსკოვთან ულტიმატუმის ენით საუბარი უნდა [დასრულდეს](#)“. მით უმეტეს, რომ Facebook გვერდ „სტალინის“ მიხედვით, მუსულმანი სირიელებიც კი მიხვდნენ, რომ მხოლოდ ქრისტიანული რუსეთია მათი [მშველელი](#).

რუსეთთან „ასიმეტრიული მოლაპარაკებების“ დაწყების აუცილებლობას პრორუსული გამოცემები სხვადასხვა „არგუმენტის“ მოშველიებით ხსნიდნენ. მათი მიხედვით, საქართველო, მართალია, ოკუპირებულია, მაგრამ არა მხოლოდ რუსეთის, არამედ **რამდენიმე** ქვეყნის მიერ. მსგავსი გზავნილი რუსული ოკუპაციის ნიველირების მცდელობაა, რომელიც რუსეთს საქართველოს მოკავშირეებთან ათანაბრებს. ნარატივის მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა ოკუპანტ ქვეყანას შორის, რუსეთი ერთადერთია, რომელსაც პრობლემების გადაჭრა ძალუძს. ამის სადემონსტრაციოდ, რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლები აქცენტს კრემლის სამხედრო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და რუსეთის სუპერ სახელმწიფოდ წარმოჩენაზე აკეთებდნენ. მათი მტკიცებით, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში რუსეთის მოქმედებებმა ნათელი **გახადა**, თუ რა მასშტაბის გავლენას ახდენს მოსკოვი რეგიონზე. რუსეთის უძლევლობის ნარტივის ფარგლებში კვლავ გავრცელდა გზავნილები, რომ რუსეთს დასავლურმა სანქციებმა ვერაფერი დააკლო და სანქციების დაწესების შემდეგ კრემლი უფრო მეტად **გამდიდრდა**, რადგან ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება გაიზარდა. პრორუსული გამოცემების მიხედვით, ამის პარალელურად, რუსეთი საქართველოსთვის შეუცვლელ სავაჭრო პარტნიორად რჩება, ტურისტების დიდ ნაწილს რუსები წარმოადგენენ და შემოსავლის ძირითადი წყაროც რუსეთია, რის გამოც მოსკოვს შეუძლია ქართველებს შიმშილობა **დააწყებინოს**, რაც, ნარატივის მიხედვით, კრემლთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობას ცხადს ხდის.

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე საუბრისას, პრორუსული ჯგუფები დასავლეთს, ტრადიციულად, ამორალურ სივრცედ, ხოლო რუსეთს მორალურობის ბასტიონად წარმოაჩენდნენ. ამდენად, ანტიდასავლური გამოცემების მიხედვით, საქართველოს არჩევანის გაკეთება „ლიბერასტ, უდმერთო“ დასავლეთსა და „ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ“ რუსეთს შორის

თბილისს მოსკოვთან
ურთიერთობების დარეგულირების
საშუალებას დასავლეთი არ აძლევს,
რადგან ამით საქართველოზე
კონტროლს დაკარგავს

უწევს. აღნიშნული გამოცემები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოსთვის უარყოფითი სტატუსკვოს შესაცვლელად, თბილისს მოსკოვთან ერთი ერთზე კომუნიკაციისა და დაახლოების შესაძლებლობას სწორედ დასავლეთი არ აძლევს, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირების შემთხვევაში, დასავლეთი საქართველოზე კონტროლს **დაკარგავს**. რასაკვირველია, დასავლეთს ბრალდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიც. ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია „საქართველო და მსოფლიოში“ **ამტკიცებდა**, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა აშშ-ის უშუალო დავალებით დაიწყო, რადგან ვაშინგტონს სურდა, რომ მოსკოვს უმკაცრესად ეპასუხა, რითიც ქართველებსა და რუსებს შორის ერთმანეთთან მისასველელი ხიდები დაინგროდა. ნარატივის მიხედვით, „რუსეთი აიძულეს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც კატასტროფული შედეგის მომტანია, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვისაც, მაგრამ მას სხვა გზა არ რჩებოდა. რუსეთმა გადაკვეთა წითელი ხაზი და ხელი მოაწერა საქართველოს დაშლის აქტს“.

საანგარიშო პერიოდში პრორუსულ ნარატივებს შორის კვლავაც ჭარბობდა საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იმპერიის მიმართ ნოსტალგია. პრორუსული გამოცემების მიერ გავრცელებული

გზავნილების მიხედვით, საბჭოთა კავშირში საქართველო „მეორე ადგილზე იყო“, ხოლო დღეს „ევროპაში ბოლოდან მეორე ადგილზეა“. ამასთან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, „200 წლის განმავლობაში, ქართველი პირველობას არავის უთმობდა“. პრორუსული გამოცემები საბჭოთა კავშირის დანგრევას უარყოფით მოვლენად წარმოაჩენდნენ, რადგან მას უკანსვლა სხვადასხვა მიმართულებით მოჰყვა. მათი მტკიცებით, საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად, „დავანგრიეთ განათლების სისტემა, რომელიც უძლიერესი იყო მსოფლიოში და რომელმაც მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი ქართველი მეცნიერი თუ აკადემიკოსი ალზარდა“, ხოლო „ავადსახსენებელი კომუნიზმის დროს ხალხი მატერიალურად უკეთ ცხოვრობდა“.

გზავნილების ნაწილი მკითხველს ახსენებდა, რომ „რუსეთმა საქართველოს აჭარა და სამცხე შეუნარჩუნა“, იოსებ სტალინს კი თურქეთის შემადგენლობაში მყოფი რეგიონების საქართველოსთვის დაბრუნება სურდა. ამასთან, პრორუსული გამოცემების მტკიცებით, თავად სტალინი მორალური ფასეულობების ერთგული იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის დასავლეთზე „უპირატესობას“ ამერიკელი დიპლომატის, ჰენრი კისინჯერის გაყალბებული ციტატის მეშვეობით ხსნიდნენ, რომლის მიხედვითაც, „საბჭოთა ადამიანი ჩვენზე [ამერიკელებზე] ერთი საფეხურით მაღლა იდგა“. Facebook-გვერდი „სტალინი“ კვლავ განაგრძობდა სტალინის მხედართმთავრული ნიჭის განდიდებას, Facebook-გვერდი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ კი ამტკიცებდა, რომ 2014 წელს აშშ-ში „ერთ-ერთი გავლენიანი სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრის მიერ ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევის“ შედეგად კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გავლენიან პიროვნებად მეორე ადგილზე სწორედ სტალინი გავიდა, პირველი ადგილი კი მაცხოვარმა დაიკავა.

ანტითურქული დეზინფორმაცია

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც თურქეთის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ: „ნიუსფრონტი“, Facebook-გვერდი „სტალინი“, „ალტ-კლუბი“, „თვალსაზრისი“, „კარდჰუ“, „საქართველო და მსოფლიო“, Facebook-გვერდი „თურქეთი ოკუპანტია“, „საქინფორმი“,

საქართველოში რუსული პროპაგანდა რუსული ოკუპაციისგან ყურადღების გადატანის მიზნით კვლავ აგრძელებდა თურქეთის მტრად წარმოჩენასა და მისგან მომდინარე „საფრთხის“ წინა პლანზე წამოწევას. ივლისი-აგვისტოს პერიოდისგან განსხვავებით სექტემბერ-ოქტომბერში გააქტიურებული იყო ე.წ. „თურქი მესხების“ საკითხი.

„საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, „თურქეთი საჯაროდ აცხადებს პრეტენზიას საქართველოს ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს“. გამოცემა ირწმუნებოდა, რომ „ერდოღანთან დაახლოებულმა პოლიტიკოსმა გამოაქვეყნა “მომავლის თურქეთის” რუკა, რომელზეც საქართველოს ტერიტორიები თურქეთის შემადგენლობაშია გამოსახული“, ისევე როგორც თურქეთის სხვა

თურქეთს პრეტენზიები აქვს საქართველოს ტერიტორიებზე და ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე აჭარის მიტაცებას გეგმავს

მეზობელი სახელმწიფოების და პარტია „სამართლიანობისა და განვითარების“ წევრი თურქეთის ხელისუფლებას, ფაქტობრივად, საბერძნეთის ტერიტორიების ხელში ჩაგდებისკენ მოუწოდებდა. „რუკა, რომელიც ერთვის თურქი პოლიტიკოსის მიერ გამოქვეყნებულ მასალას, აღწერს 1925 წელს მიღებული ე.წ. ეროვნული ფიცის ტერიტორიებს, რომლებიც ლეგენდა “ცისფერ სამშობლოსთან” ერთად თანამედროვე თურქი “ქორების” საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებების დოგმად იქცა“. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია აჭარაში თურქული გავლენების, კონკრეტულად კი - საგანმანათლებლო და კულტურულის, შესახებ. „საქინფორმი“, „ნიუსფრონტი“ და სხვა პრორუსული წყაროები ავრცელებდნენ ყალბ ამბავს, თითქოს თურქეთი ყარსის ხელშეკრულებით აჭარას წაგვართმევს. აღსანიშნავია, რომ ყარსის ხელშეკრულების ირგვლივ მსგავსი მანიპულაციების გავრცელება მონიტორინგის ყველა პერიოდში შეინიშნებოდა.

ანტიდასავლური წყაროები აქტიურად ამკვიდრებდნენ ნარატივს, რომ თურქეთი საქართველოს პარტნიორი არაა და, პირიქით, მტერია, ისევე როგორც პირადად თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი. თუმცა, მათ მიხედვით, „ქართველი ლიბერალების ტვინში... თურქეთი მაინც საიმედო პარტნიორია და ყველა, ვინც თურქულ საფრთხეზე საუბრობს, რუსეთის აგენტია“.

თურქეთიდან მომდინარე საფრთხის წარმოსაჩენად „ნიუსფრონტი“, „თვალსაზრისი“ და სხვა წყაროები აქტიურად ავრცელებდნენ შოთა აფხაიძის დეზინფორმაციულ სტატიას, თითქოს „8 სექტემბერს ოფიციალურმა ანკარამ განაცხადა, რომ მზადაა, დაიწყოს ე. წ. თურქი მესხების რეპატრიაციის მეორე ტალღა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან თურქეთსა და საქართველოში“.

მის მიხედვით, ერდოღანმა საქართველოს ხელისუფლებას, პირადად გიორგი გახარიას, სატელეფონო საუბარში 100 ათასი თურქ-მესხის სამცხე-ჯავახეთში ჩასახლება თავის ხარჯების უზრუნველყოფით (რეპატრიანტების დაფინანსება, სახლების და მიწის ნაკვეთების ყიდვა, სასწავლო და რელიგიური დაწესებულებების გახსნა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება) შესთავაზა. მისი აზრით, „თურქი მესხების“ საქართველოში დაბრუნება ერდოღანის და დაუდოლლუს ნეო-ოსმანიზმის და პანთურქიზმის პოლიტიკის გატარებაა, რომლებიც ოფიციალურ განცხადებებში ამბობენ, რომ „სურთ ოსმალეთის იმპერიის აღდგენა და აჭარა-სამცხე-ჯავახეთს მოიაზრებენ, როგორც იმპერიის განუყოფელ ნაწილს“.

თურქეთი სამცხე-ჯავახეთში 100 ათასი თურქ-მესხის ჩასახლებას გეგმავს, რაც საბოლოოდ ეთიკური კონფლიქტით დასრულდება

პრორუსული წყაროების მიხედვით, რუსეთმა საქართველოს თურქეთის მიერ წართმეული ტერიტორიები დაუბრუნა, თუმცა ახლა თურქეთს „მეგობარს“ და „ძმას ეძახიან“ იმის მიუხედავად, რომ საქართველოსთვის რუსეთს თურქეთზე მეტი არ დაუშავებია.

„ნიუსფრონტი“ ავითარებდა ნარატივს, რომ თურქული ექსპანსიონისტური პოლიტიკის, ნეო-ოსმანიზმისგან და პანთურქიზმისგან საქართველოს დამცველი ევროკავშირი და NATO ვერ იქნება. მის მიხედვით, „ევროკავშირი თურქეთის ექსპანსიისგან ვერ და არ დაგვიცავს“, რადგან „თვითონ დასაცავია“. „ნიუსფრონტი“ განიხილავს კვიპროსის მაგალითს და აღნიშნავს, რომ „კვიპროსს ზურგს

ევროკავშირისა და ნატოს წევრი საბერძნეთი და ამერიკაში ბერძნული დიასპორა უმაგრებს, თავად კვიპროსი ევროკავშირის წევრია და ამერიკელები NATO-შიც იწვევენ, მაგრამ კიპრიოტები თურქეთის წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდნენ“. ხოლო თუ თურქეთს საქართველოს ტერიტორიული წყლების ან ბათუმისა და ახალციხის მიმართ ექსპანსიონისტური მისწრაფებები გაუჩნდება, ევროკავშირი და NATO ვერ დაგვიცავს, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში არც ერთი პოლიტიკოსი იტყვის, რომ საქართველოს აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთი დაიცავს.

„თვალსაზრისი“ ანტითურქულ ნარატივს აღვივებდა NATO-ს კონტექსტის გამოყენებით. გამოცემა [აღნიშნავდა](#), რომ „თურქეთი თავის სამეზობლოში ყველას ოპონენტად განიხილავს და თითქმის აღარავისთან აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობა“, არამედ ყველა აქტორთან აგრესიულ და კონფრონტაციულ პოლიტიკას აწარმოებს. „თვალსაზრისის“ აზრით, თურქეთთან მიმართებით პოზიცია საქართველომ უნდა შეიცვალოს და პრაგმატულად გააანალიზოს ერდოღანის მიზნები და ინტერესები რეგიონში, რომელიც არცერთ შემთხვევაში არაა საქართველოს სასარგებლო. შესაბამისად, თურქეთის მაგალითზე საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ არის ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება იყოს უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტი“, რადგან რეგიონში სწორედ NATO-ს წევრები - თურქეთი და აშშ - არიან სამხედრო დაპირისპირების კერების მთავარი შემქმნელი.

„ნიუსფრონტი“ რუსეთის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და [ცდილობდა](#), მკითხველი დაერწმუნებინა, რომ რუსეთის დაშლის შემთხვევაში საქართველოს „ისტორიული მეგობრები“ გაიყოფენ და მის თავზე „მალევე ნახევარმთვარე აფრიალდება“. ხოლო „საქინფორმის“ მთავარი [რედაქტორის](#) თანახმად, სხვადასხვა მიზეზის გამო „რუსეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კავკასიის მართვის უნარი არ შესწევს და კვლავ დაუთმო ის თურქეთს“, რის შედეგადაც, ისტორიის თანახმად, საქართველოს „ომი, ხოცვა, შიმშილი, ინტერვენცია და სრული ოკუპაცია“ [ელის](#).

წინასაარჩევნო პერიოდში პრორუსული პარტია „პატრიოტთა ალიანსი“, ისევე როგორც ივლის-აგვისტოში, თურქეთის საკითხით მანიპულირებას განაგრძობდა. „კარდჰუმ“ გამოაქვეყნა [ვიდეო](#), სადაც პატრიოტთა ალიანსის ლიდერები - ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავიც საუბრობენ. ვიდეოს მიხედვით, თურქეთს დღეს უკვე პრეტენზია აქვს აჭარაზე, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაზე. ხოლო დავით თარხან-მოურავმა ყარსის ხელშეკრულებაზე გააკეთა აქცენტი და განაცხადა, რომ 1921 წელს თურქეთის მიერ საბჭოთა საქართველოსთვის აჭარისა და ბათუმის დათმობის მიუხედავად, 1923 წელს „თურქეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ, ფაქტობრივად, უკან წაიღო ეს სიტყვები“ და „მან კვლავ გამოაცხადა ბათუმი და აჭარა თურქეთის განუყოფელ ნაწილად“. ხოლო დღეს „თურქეთს მიტაცებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 33%“ და „დღესაც თურქეთი ღიად აცხადებს პრეტენზიას ბათუმზეც, ოზურგეთზეც და ახალციხეზეც“.

ტერიტორიების 33%-ის მიტაცებისა და ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ იდენტური განცხადება გვხვდება „პატრიოტთა ალიანსის“ [გაზეთში](#) მოცემულ საარჩევნო პროგრამაშიც. აქედან გამომდინარე კი ირმა ინაშვილმა მოსახლეობას მოუწოდა, დაეცვა მისი წილი საქართველო, ემოქმედა და არ დაეთმო აჭარა თურქეთისთვის. ვიდეოში ასევე ნახსენები იყო 1920 წელს თურქეთში მიღებული „ეროვნული ფიცი“, რომლითაც „ისტორიული ქართული მიწა-წყალი:

არტანნი, ართვინი, ყარსი, ბათუმი თავის მარადიულ ნაწილებად გამოაცხადეს. პარტია წინასაარჩევნოდ გამოშვებულ **გაზეთში** აღნიშნავს, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ერთადერთი პარტიაა, რომელიც 15 წელზე მეტია ებრძვის თურქეთის სახელმწიფო ექსპანსიას საქართველოში, პირველ რიგში - აჭარაში“. „პატრიოტთა ალიანსი“ გაზეთში ისტორიული ფაქტების მოშველიებით და დღეს აჭარაში ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში თურქული გავლენის არგუმენტით ამტკიცებდა, რომ „თურქული პრობლემა საქართველოში და განსაკუთრებით - აჭარაში, არსებობს არათუ ათწლეულები, არამედ საუკუნის განმავლობაში“. შესაბამისად, პარტია მოსახლეობას მოუწოდებს, რომ „დავიცვათ აჭარა თურქული ექსპანსიისგან!“, „ვიმოქმედოთ - არ დავუთმოთ აჭარა თურქეთს!“, „დაიცავი აჭარა“, „დაიცავი შენი წილი საქართველო, შენ ეს შეგიძლია! ნუ დავუთმობთ აჭარას თურქეთს!“, რადგან, როგორც საარჩევნო **კლიპში** აღნიშნავენ, „ქართული ოცნების ხელისუფლება თვალს ხუჭავს და ეგუება აჭარაში თურქულ ექსპანსიას“. „პატრიოტთა ალიანსის“ **მეორე** და **მესამე** გაზეთებში მოცემულია დეზინფორმაცია, თითქოს 2016 წელს რიზეს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას ერდოღანმა განაცხადა, რომ სხვა ქვეყნების გარკვეულ ტერიტორიებთან ერთად, ბათუმიც თურქეთის საზღვრებში უნდა მოექცეს.

„პატრიოტთა ალიანსის“ გარდა თურქეთის თემა სპეკულირებად საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეაც“. მის **მიხედვით**, ხელისუფლებამ „აჭარა თურქეთს მიჰყიდა“. ხოლო რუსეთის გარდა საქართველოს მიმართ თურქეთიც (აჭარა და ტაო-კლარჯეთი), აზერბაიჯანიც (დავით-გარეჯი და საინგილო) და სომხეთიც (ლორე-ტაშირი) ოკუპანტები არიან. პარტია ასევე **აცხადებდა**, რომ აჭარის „თურქიზაცია“ და „ისლამიზაცია“ მიმდინარეობს.

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

სექტემბერში კორონავირუსის გავრცელების მეორე (ბევრის აზრით საქართველოსთვის პირველი) ტალღის დაწყების პარალელურად ხელახალი სიმძლავრით იფეთქა დეზინფორმაციულმა ტალღამაც. **კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია, წინა თვეების მსგავსად სხვა ნარატივებისგან წყაროების მრავალფეროვნებითა და გავრცელების უფრო დიდი მასშტაბებით გამოირჩეოდა.** კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებისთვის მედიებთან ერთად აქტიურად გამოიყენებოდა სოციალური ქსელების ანგარიშები, მათ შორის დეზინფორმაციის გავრცელებაში საზოგადოებისთვის ცნობილი არაერთი ადამიანი იყო ჩართული.

კორონავირუსზე დეზინფორმაციების გამავრცელებლები გამოირჩეოდნენ ორგანიზებისა და აუდიტორიის მოზიდვის განსხვავებული მიდგომებით. პანდემიის დაწყების საწყის ეტაპზე (მარტის თვეში) გაჩნდა შეთქმულების თეორიების გამავრცელებელი ჯგუფები სადაც ხდებოდა მომხმარებლების მასიური მობილიზაცია. მსგავსი ჯგუფებისა და ვირუსთან დაკავშირებული მცდარი და ხშირად ჯანმრთელობის რისკების შემცველი ინფორმაციების მზარდი გავრცელების გამო, Facebook-მა შეიმუშავა მკაცრი პოლიტიკა მსგავსი კონტენტის პლატფორმიდან წაშლის შესახებ. შესაბამისად, რამდენიმე მსგავსი ჯგუფი (**Stop 5G Georgia!!!**, არა კორონა აფიორას!) Facebook-მა წაშალა, თუმცა ამ ჯგუფების ადმინისტრატორები შეცვლილი სახელწოდებებით ქმნიდნენ იგივე შინაარსის ახალ ჯგუფებს და თავიდან ახდენდნენ მომხმარებლების მობილიზაციას. ამას გარდა

გამოჩნდნენ ახალი ტიპის ე.წ „კორონაინფლუენსერები“ ([კობა კუპრაშვილი](#), [შორენა შანიძე](#), [ნონა ალდგომელაშვილი](#), [ნინა მარჯი](#), [სხვ.](#)) რომლებმაც კორონას შესახებ შეთქმულების თეორიების და ყალბი ინფორმაციების გავრცელებით მოიპოვეს პოპულარობა სოციალურ ქსელებში. თუ თავდაპირველად მსგავსი აქტორები ექვემდებარებოდნენ თავად ვირუსის არსებობის ფაქტს ან მას ნაკლებად საშიშ გრიპის ვირუსად წარმოაჩენდნენ, მოგვიანებით საქართველოში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების კვალდაკვალ ეს ნარატივი ვაქცინების საწინააღმდეგო ნარატივით შეიცვალა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებისა და აქტორებისა, კორონავირუსთან დაკავშირებული ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციების გავრცელებით გამოირჩეოდნენ „ნიუსფრონტი“, „ალია“, „საქართველო და მსოფლიო“, „თვალსაზრისი“, „საერთო გაზეთი“, „გურიის მოამბე“, „სპუტნიკი“, „საქინფორმი“, Facebook გვერდები „სტალინი“, „ლიბერალიზმი კლავს“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, ტელევიზია „თრიალეთი ტვ“, ასევე ე.წ ინფლუენსერები: ხატია სიჭინავა, დავით გიორგობიანი, ლალი მოროშკინა, ლევან ჩხიკვაძე, ლაშა მოდებაძე და ზემოთხსენებული Facebook მომხმარებლები.

ანტიდასავლური აქტორები ტრადიციულად ცდილობდნენ კორონავირუსის ნაკლებად საშიშ ვირუსად წარმოჩენას და მის სეზონურ გრიპთან გაიგივებას. ცნობილი ტელეწამყვანი, ლალი მოროშკინა, სოციალურ ქსელში [წერდა](#), რომ „მეტწილად იმათ დაემართათ დასუსტებული, მუტირებული, ძლივს მოლასლასე სეზონური გრიპი კოვიდი, ვისაც პირბადე სულ ეკეთა“.

კორონავირუსი სეზონური გრიპის ვირუსის ერთ-ერთი შტამია, რომელიც სულაც არ არის სახიფათო

„ნიუსფრონტი“ ავრცელებდა ყალბ [ინფორმაციას](#) თითქოს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ახალი მრჩეველი ეპიდემიის საკითხებში, სკოტ ატლასი, ამტკიცებდა რომ კორონავირუსი სეზონური გრიპის ვირუსზე უფრო ნაკლებად საშიშია. „ალიასთან“ [ინტერვიუში](#), ერთ-ერთმა Facebook ინფლუენსერმა, შორენა შანიძემ, რომელიც COVID-19-თან დაკავშირებული დაუსაბუთებელი და ხშირად ყალბი ინფორმაციების გავრცელებით ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას, ამტკიცებდა, რომ კორონავირუსი არის ჩვეულებრივი გრიპის ვირუსის უფრო სუსტი შტამი და რომ „შიში და პანიკა ხალხში მიზანმიმართულად არის დათესილი, ხალხის დასაშინებლად, დასაზომბირებლად“. Facebook-გვერდი „სტალინი“, ასევე [საუბრობდა](#) იმაზე, რომ კორონავირუსი სულაც არ არის საშიში და ადვილია მისგან განკურნება. „სტალინი“ ასევე ავრცელებდა [ინფორმაციას](#), რომ კორონავირუსი გრიპის ეპიდემიასთან შედარებით ნაკლებად საშიშია. „თვალსაზრისმა“ გამოაქვეყნა [ინტერვიუ](#) ზურაბ ქუმსიაშვილთან, სადაც ის ამტკიცებდა, რომ კორონავირუსი არც ისე საშიშია როგორც ამას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამტკიცებს. ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერი, ზვიად ტომარაძე, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გლდანის მაჟორიტარულ ოლქში იღებდა მონაწილეობას პარტია „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობის“ ეგიდით, საკუთარ Facebook-ზე [წერდა](#), რომ კორონავირუსი არც ისეთი მომაკვდინებელია, როგორც ამას სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები გვიმტკიცებენ და ამის დასამტკიცებლად საექვო კვლევებს და კლინიკური ცდის შედეგებს იშველიებდა. კიდევ ერთი Facebook-გვერდი „საქართველო უპირველეს

ყოვლისა, ასევე ამტკიცებდა, რომ კორონავირუსი „არ არის მომაკვდინებელი ვირუსი! კორონა არ კლავს!“.

ტრადიციულად აქტუალური იყო კიდევ უფრო გაძლიერდა პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანია ვაქცინების წინააღმდეგ. „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ოქსფორდის ვაქცინა სათანადო ტესტირებისა და კლინიკური ცდების გარეშე დაამტკიცა და რომ, მისი გამოცდა საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებში იგეგმება. იგივე გამოცემა მკითხველს არწმუნებდა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) განვითარებად ქვეყნებში საცდელი ვაქცინის გავრცელებას აპირებს. იმავე იდეას ავითარებდა „ქართული იდეაც“, რომელმაც მოსახელობას გაეროს ბავშვთა ფონდის საწინააღმდეგო აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდებდა. Facebook-გვერდი „სტალინი“ ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს ამერიკაში ტესტირების პროცესში გამოტოვეს ცხოველებზე ტესტირების ეტაპი და პირდაპირ ადამიანებზე დაიწყეს ვაქცინის ტესტირება. „საერთო გაზეთმა“ გამოაქვეყნა პოსტი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ იგეგმებოდა ისეთი ვაქცინების ადამიანებზე გამოცდა, რომლებიც ადამიანს კლავს ან მის გენეტიკას ცვლის. ერთ-ერთი Facebook მომხმარებელი ამტკიცებდა, რომ ბილ გეითსი ტრამპის სამკურნალოდ გამოყენებულ მეთოდს ეჭვქვეშ აყენებდა, რადგან მას სურს გენეტიკური ინჟინერიით შექმნილი ვაქცინით მოსპოს კაცობრიობა.

საქართველოს მოსახელობაზე დაუტესტავი ვაქცინების გამოცდა იგეგმება

დასავლური კომპანიების მიერ შექმნილი ვაქცინების მუდმივი დისკრედიტაციის პარალელურად განსხვავებულად ხდებოდა რუსული ვაქცინის წარმოჩენა. „საქინფორმი“ ამტკიცებდა, რომ რუსული ვაქცინის “Sputnik V”-ის მიწოდებაზე 50 ქვეყნის „გრძელი რიგი დადგა“, მათ შორის არის ამერიკა და ევროკავშირის ქვეყნები. იმავე სტატიაში, „საქინფორმის“ რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი, მკითხველს არწმუნებდა, რომ რუსული ვაქცინა განსხვავებით დასავლური ვაქცინებისგან ადამიანის ვირუსზე მზადდება და არა მაიმუნის. „სპუტნიკ საქართველო“ ავრცელებდა ინფორმაციას, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის შეფასებით, რუსული ვაქცინა არა მარტო 100%-ით ეფექტურია, არამედ სრულიად უსაფრთხოც. „სპუტნიკი“ ასევე ამტკიცებდა რომ კლინიკური გამოცდებისას, რუსულმა ვაქცინამ მომხმარებელთა 100 პროცენტს გამოუმუშავა იმუნური პასუხი და ამავდროულად, არ დაფიქსირებულა არანაირი გვერდითი ეფექტი. არნო ხიდირბეგიშვილი ასევე ამტკიცებდა რომ აშშ-მა დაივიწყა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია და რუსეთს კორონავირუსის ვაქცინა სთხოვა.

რუსული ვაქცინა 100%-ით ეფექტიანი და უსაფრთხოა და მასზე მთხოვნელთა რიგებში აშშ და ევროკავშირის ქვეყნები დგანან

ისევ ვრცელდებოდა შეთქმულების თეორიები კორონავირუსის ტესტების საშუალებით გენეტიკური მასალის მოგროვებასა და ადამიანების ვაქცინაციის შედეგად „დაჩიპვის“ მცდელობებზე. Facebook ინფლუენსერი კობა კუპრაშვილი, ამტკიცებდა, რომ


„PCR“ ტესტებით ადამიანებისგან გენეტიკურ მასალას იღებდნენ, რომლებსაც შემდეგ ხლეჩდნენ, ამრავლებენ და ცდებს ატარებენ. ტელეწამყვანმა დავით გიორგობიანმა, [გააზიარა](#) YouTube ბმული, სადაც ამტკიცებდნენ, რომ კორონავირუსის ვაქცინებით ადამიანების დაჩიპვას გეგმავენ ელონ მასკის მიერ შექმნილი მიკროჩიპებით.

სტატისტიკით და გარდაცვლილთა რაოდენობით მანიპულირების შესახებ დეზინფორმაციების გავრცელება კვლავაც აქტუალური იყო. Facebook-გვერდმა „სტალინი“ გააზიარა [პოსტი](#), რომლის მიხედვითაც, იტალიაში კორონავირუსით გარდაცვლილ მოხუცთა დიდი ნაწილი სინამდვილეში სპეციალური ინექციით დააძინეს, რათა ქვეყანა გაეწმინდათ ხნიერი ადამიანებისგან და დაეზოგათ საპენსიო და ჯანდაცვის ხარჯები. ვირუსულად ვრცელდებოდა ერთ-ერთი Facebook მომხმარებლის [პოსტი](#), რომელიც ამტკიცებდა, რომ კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა ხელოვნურად იზრდებოდა. „თვალსაზრისი“ კი Facebook მომხმარებელზე დაყრდნობით [წერდა](#), რომ ბათუმში 3 ათას ლარს უხდიდნენ ადამიანებს კორონავირუსით ყალბი ინფიცირების დასადასტურებლად და სასტუმროებში გადასასვლელად. კორონა აფიორასა და სტატისტიკის გაყალბებაში [ადანაშაულებდა](#) tv.m.ge ხელისუფლებას და ჯანდაცვის მუშაკებს.

რაოდენობასა და გავრცელების მასშტაბების შემცირების მიუხედავად, სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში კვლავ გვხვდებოდა ვირუსის ხელოვნურად წარმოქმნის შესახებ გავრცელებული ერთეული ინფორმაციები. „ალიამ“ გამოაქვეყნა [სტატია](#), სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ კორონავირუსი ჩინეთის სამხედრო ლაბორატორიაში შეიქმნა გენეტიკური ნივთიერებისა და ორი ღამურის შერწყმის შედეგად. Facebook-გვერდი „სტალინი“ ოდიოზურ ექიმ რაშიდ ბუტარზე დაყრდნობით [წერდა](#), რომ კორონავირუსი ხელოვნურად შექმნეს ამერიკელებმა ჯერ კიდევ 2014-2015 წლებში და ისინი ამის შესახებ ინფორმაციას მალავდნენ. Facebook-გვერდმა „Religia Ge“ [ამტკიცებდა](#), რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი კორონავირუსის პანდემიად გამოცხადებისთვის და რომ ეს იყო კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელსაც აუცილებლად გამოიძიებენ.


სოციალურ ქსელებში ასევე აქტიურად ვრცელდებოდა კორონასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი სამედიცინო რჩევები და მოწოდებები. სხვადასხვა მომხმარებელი [ამტკიცებდა](#), რომ თერმოსკრინინგი ჯანმრთელობის დაზიანებას იწვევს. „სპუტნიკმა“ „სენსაციური“ კვლევა [გამოაქვეყნა](#) რომლის მიხედვითაც ქოქოსის ზეთი კორონავირუსს კურნავს. Facebook-გვერდი „შუა გზაზე“ მომხმარებლებს [არწმუნებდა](#), რომ წყალში გახსნილი პერეკისის მიღება კორონავირუსისგან დაგვიცავს. Facebook ჯგუფში „კორონა აფიორა“ ვრცელდებოდა ყალბი [ინფორმაცია](#), რომ პირბადის ტარება ზრდის კორონავირუსით ინფიცირების რისკს. ტელეწამყვანი დავით გიორგობიანი Facebook-ზე ავრცელებდა [პოსტს](#), რომლის მიხედვითაც ცხელი ორთქლის ინჰალაცია 100%-ით კლავს კორონავირუსს.

ძირითადი აქტორების სტატისტიკა



მონიტორინგის ფარგლებში ჯამში შევისწავლეთ 457 მასალა, საიდანაც ანგარიშში მოხვდა - 187. თუმცა, ვინაიდან Facebook-მა 2020 წლის ოქტომბერში საკუთარი პლატფორმიდან „ალტ-ინფო“ და მასთან დაკავშირებული გვერდები წაშალა, საბოლოოდ ანგარიშში 182 აქტიური ბმული დარჩა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც Facebook-ზე გავრცელების, ვებგვერდზე კითხვადობის და სტატიების რაოდენობის მხრივ წამყვანი მედია საშუალება იყო. აღსანიშნავია, რომ Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამის (Third-Party Fact-Checking Program) საქართველოში ამოქმედების შემდეგ (21 სექტემბერი, 2020), მკვეთრად იკლო ანგარიშში მოხვედრილი წყაროების Facebook-ზე გავრცელების სტატისტიკამ, რაც მათ ვებგვერდებზე მკითხველების კლებაშიც აისახა, რადგან სწორედ Facebook-დან ხდებოდა მომხმარებელთა დიდი ნაწილის ვებგვერდზე მოზიდვა. მაგალითად, „საქართველო და მსოფლიოს“ 55 სტატიას დაახლოებით 42,000 წაკითხვა ჰქონდა, მაშინ როდესაც წინა საანგარიშო პერიოდებში კითხვადობის მაჩვენებელი 3-4 ჯერ აღემატებოდა ამ რიცხვს. ასევე რამდენჯერმე (დაახლოებით 5-6 ჯერ) იკლო სექტემბერ-ოქტომბრის ანგარიშის ყველაზე აქტიური Facebook გვერდის „სტალინის“ ინტერაქციების ჯამურმა ოდენობამ პლატფორმაზე (მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული პოსტების რაოდენობა გაიზარდა), რაზეც გავლენა Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ამოქმედებამ მოახდინა.

ანგარიშში მოხვედრილი წყაროების სტატისტიკა



საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში. GRASS-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, დეზინფორმაცია/პროპაგანდის საკითხების, საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს.